პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО КОМИТЕТА КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოდის 33-ე წელი

№ 210 (9370)

ხუთშაბათი 4 სექტემბერი 1952 წ.

ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთშია

დიადი მეგობრობა—«პრავდის» 3/IX მოწინავე (1-ლი გვერდი).
საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს გენერალისიმუს ი. ბ. სტალინს (1-ლი გვერდი).
ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალური სახალხო მთავრობის თავმჯდომარეს ამხანაგ მაო ძე-დუნს (1-ლი გვერდი).
კინოხელოვნების მძლავრი აღმავლობისათვის (1-ლი გვერდი).
აჭარის საოლქო პარტიულ კონფერენციაზე (მე-2 გვერდი).
კოლმეურნე კომუნისტების შემოქმედებითი წინადადებანი (მე-3 გვერდი).
ა. ბედიაშვილი — საშემოდგომო ხორბლის მოსავლიანობის გადიდებისათვის (მე-3 გვერდი).
ჭალენჯიხელებმა უნდა დარაზმონ ძალები ჩაის კრეფაში ჩამორჩენის გამოსასწორებლად (მე-3 გვერდი).
უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

დიადი მეგობრობა

დღეს სრულდება შვიდი წელი იაპონელ იმპერიალისტებზე გამარჯვების დღიდან. იმპერიალისტური იაპონიის კაპიტულაცია შესაძლებელი გახდა იმის შედეგად, რომ მამაცმა საბჭოთა არმიამ და სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტმა გაანადგურეს ჯერ ჰიტლერის სამხედრო მანქანა, ხოლო შემდეგ იაპონიის ძირითადი შეიარაღებული ძალები. იაპონიის კაპიტულაცია იმას მოასწავებდა, რომ მეორე მსოფლიო ომი დამთავრდა.

საბჭოთა ხალხისა და მისი სახელოვანი შეიარაღებული ძალების ისტორიულმა გამარჯვებებმა ახალი ეპოქა შექმნა შორეული აღმოსავლეთის ქვეყნების ისტორიაში, რომლებიც იმპერიალისტ დამპყრობთა უღლისაგან განთავისუფლდნენ. დიდმა ჩინელმა ხალხმა და მისმა სახალხო-განმათავისუფლებელმა არმიამ, რომლებმაც უდიდესი როლი შეასრულეს იაპონელ იმპერიალისტებზე გამარჯვების მოპოვებაში, ზღვაში გადაყარეს გომინდანელთა ხროვა, რომლის იმედიც ჰქონდათ ამერიკელ კოლონიზატორებს, აზიაში იაპონელ დამპყრობთა ადგილის დაკავებას რომ ოცნებობდნენ. ჩინელმა ხალხმა თავისი სახელოვანი კომუნისტური პარტიის წინამძღოლობით შექმნა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა და განამტკიცებს მას. საბჭოთა არმიის მიერ განთავისუფლებულმა კორეელმა ხალხმა შექმნა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ცეცხლში იშვა და მტკიცდება ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკა. აზიის ყველა ქვეყანაში, მათ შორის იაპონიაშიც, დაიწყო ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის მძლავრი აღმავლობა.

ამერიკელი კოლონიზატორები, ცდილობენ რა რადაც უნდა დაუჯდეთ ჩაახშონ მართალი საქმისათვის მებრძოლ ხალხთა დიადი მოძრაობა, მიმართავენ დათრგუნვის ყოველგვარ ღონისძიებას, თვით აშკარა სამხედრო ინტერვენციამდე, რასაც ისინი უმაგალითო სისასტიკით ახორციელებენ კორეაში. ამავე მიზნით ისინი, ფეხქვეშ თელავენ რა საერთაშორისო შეთანხმებებს იაპონიის დემილიტარიზაციის შესახებ, აღორძინებენ იაპონიის მილიტარიზმს, ამასთან იმედი აქვთ მათ მიერ აღდგენილი სამურაების არმიები გამოიყენონ ომში თავისუფლებისმოყვარე ხალხთა წინააღმდეგ, რომლებმაც მოიშორეს უცხოელ დამპყრობთა უღელი.

მაგრამ ამ აგრესიული გეგმების განხორციელების გზაზე დაბრკოლებად აღმართულა მშვიდობის მძლავრი ბურჯი—ჩინეთისა და საბჭოთა კავშირის დიადი მეგობრობა.

დღეს ქვეყნდება დეპეშა, რომელშიც ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალური სახალხო მთავრობის თავმჯდომარე მაო ძე-დუნი პირადად თავისი სახელით, ჩინეთის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიისა და მთელი ჩინელი ხალხის სახელით მხურვალე მოლოცვასა და გულითად მადლობას უძღვნის ამხანაგ ი. ბ. სტალინს, საბჭოთა კავშირის შეიარაღებულ ძალებს და მთელ საბჭოთა ხალხს იაპონიაზე გამარჯვების მეშვიდე წლისთავის გამო. დეპეშაში ნათქვამია:

„იმ დიდმა დახმარებამ, რაც საბჭოთა კავშირმა ჩინელ ხალხს გაუწია იაპონიის წინააღმდეგ ომში, და საბჭოთა არმიის მიერ იაპონიის არმიის მთავარი ძალების — კვანტუნის არმიის განადგურებამ შესაძლებლობა მისცა ჩინელ ხალხს საბოლოო გამარჯვება მოეპოვებინა იაპონიის წინააღმდეგ ომში. საბჭოთა კავშირი ძმურ დახმარებას უწევს ჩინელ ხალხს ჩინეთის აღდგენისა და მშენებლობის საქმეში და ამით ხელს უწყობს ჩინელი ხალხის ძალების სწრაფ ზრდასა და განმტკიცებას.

ახლა, როცა კვლავ ღორძინდება იაპონიის მილიტარიზმი, როცა კვლავ წევენ თავს იაპონიის აგრესიული ძალები, ჩინეთისა და საბჭოთა კავშირის ურღვევი მეგობრობა და კავშირი იმის მტკიცე გარანტიაა, რომ აღარ განმეორდეს აგრესია იაპონიის ან რომელიმე სხვა სახელმწიფოს მხრივ, რომელიც იაპონიასთან გაერთიანდება აგრესიის აქტებით, მტკიცე გარანტიაა აღმოსავლეთსა და მთელ მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნებისა".

ამხანაგ მაო ძე-დუნისათვის გაგზავნილ დეპეშაში ამხანაგი ი. ბ. სტალინი მადლობას უძღვნის იაპონელ იმპერიალისტებზე გამარჯვების მეშვიდე წლისთავთან დაკავშირებით საბჭოთა ხალხისა და საბჭოთა არმიისადმი გამოთქმული გრძნობებისათვის.

ამხანაგი სტალინი წერს:

„ამ ისტორიულ გამარჯვებაში უდიდესი როლი შეასრულეს ჩინელმა ხალხმა და მისმა სახალხო-განმათავისუფლებელმა არმიამ, რომელთა გმირობამ და თავდადებამ გააადვილა იაპონიის აგრესიის ლიკვიდაციის საქმე.

საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დიადი მეგობრობა წარმოადგენს საიმედო გარანტიას ახალი აგრესიის საფრთხის წინააღმდეგ, შორეულ აღმოსავლეთსა და მთელ მსოფლიოში მშვიდობის მძლავრ ბურჯს".

საბჭოთა კავშირის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ხალხები, ისევე როგორც ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხი, მშვიდობისათვის იბრძვიან და მშვიდობის საქმეს იცავენ. გადაჭრით ილაშქრებენ რა იაპონიის აგრესიული ძალების აღორძინების წინააღმდეგ, რომლებსაც მეურვეობენ და აქეზებენ ამერიკელი იმპერიალისტები, მშვიდობისმოყვარე ხალხებს არავითარი მტრობის გრძნობა არა აქვთ თვით იაპონელი ხალხის მიმართ. მათ იციან, რომ იაპონიის ხალხს თავს დაატყდა უბედურება იმასთან დაკავშირებით, რომ იაპონია ოკუპირებულია ამერიკელი აგრესორების მიერ, და იგი ორმაგ ექსპლოატაციას განიცდის.

იაპონელი ხალხისადმი სახალხო მიმართვაში ამხანაგმა ი. ბ. სტალინმა განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირის ხალხებმა წარსულში თვითონ განიცადეს საშინელებანი უცხოელთა ოკუპაციისა, რომელშიც მონაწილეობდნენ იაპონელი იმპერიალისტებიც. ამიტომ მათ სავსებით ესმით იაპონელი ხალხის ტანჯვა, დიდად თანაუგრძნობენ მას და სჯერათ, რომ იგი მიაღწევს თავისი სამშობლოს აღორძინებასა და დამოუკიდებლობას ისევე, როგორც ამას მიაღწიეს თავის დროზე საბჭოთა კავშირის ხალხებმა.

ამერიკელმა მაოკუპირებელმა ხელისუფლებმა, რომლებიც იაპონიაში ისე დათარეშობენ, თითქოს თავიანთ კოლონიაში არიანო, განსაკუთრებით გააძლიერეს იაპონიის რემილიტარიზაცია მას შემდეგ, რაც აგრესია დაიწყეს კორეაში. ახლა ისინი არა მარტო იყენებენ იაპონიაში არსებულ სამხედრო ბაზებს, არა მარტო წელში წყვეტენ იაპონელ ხალხს სამხედრო წარმოებაში, არამედ კიდევაც სულ უფრო დიდი მასშტაბით იყენებენ იაპონელებს საზარბაზნე ხორცად კორეის ფრონტზე. ცნობილია, რომ მშვიდობისმოყვარე კორეელი ხალხის წინააღმდეგ ბრძოლებში მონაწილეობას იღებს იაპონიის ეგრეთწოდებული „პოლიციის სარეზერვო კორპუსი", რომელიც წარმოადგენს აღდგენის პროცესში მყოფი საიმპერატორო არმიის ბირთვს.

ამერიკის შეერთებული შტატების მმართველმა წრეებმა იაპონიას თავს მოახვიეს ყბადაღებული სეპარატული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილ იქნა სან-ფრანცისკოში, და ეგრეთწოდებული „უშიშროების პაქტი". ამ არათანასწორუფლებიან „ხელშეკრულებათა" მიზანია განუსაზღვრელი ვადით გაჭიანურდეს იაპონიის სამხედრო ოკუპაცია „თანამშრომლობის" საბაბით. ამერიკის დიპლომატია ცდილობს წყნარი ოკეანის ყველა ქვეყანაზე გაავრცელოს ამ კაბალურ „შეთანხმებათა" გავლენის სფერო. მაგრამ წყნარი ოკეანის პაქტის შექმნის იდეა ამ ქვეყნების მოსახლე ხალხთა მძლავრ წინააღმდეგობას აწყდება. ხალხებს სამართლიანად მიაჩნიათ, რომ ეს პაქტი არის იმის ახალი ცდა, რომ ატლანტიკის ბლოკის მსგავსად შეაკოწიწონ კიდევ ერთი აგრესიული ბლოკი.

თვით იაპონიაში განუხრელად ძლიერდება წინააღმდეგობა ამერიკელი ოკუპანტებისა და მათი დამქაში იაპონელი მილიტარისტებისადმი. იაპონიის მთავრობა ამაოდ ცდილობს გატეხოს ეს წინააღმდეგობა მძვინვარე ტერორის საშუალებით. ამაოდ იჩენს გულმოდგინებას ამერიკის სამხედრო პოლიცია, რომელიც უშუალოდ მონაწილეობს მშვიდობისათვის მებრძოლთა დემონსტრაციების ჩახშობაში. რეპრესიების მიუხედავად, იაპონიაში ფართოვდება და მტკიცდება მშვიდობისათვის, თავისუფლებისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის მოძრაობა.

ამერიკელი აგრესორები მშვიდობისმოყვარე ხალხთა წინააღმდეგ ბრძოლაში ცდილობენ გამოიყენონ დაშინების პოლიტიკა, რომელიც, როგორც ცნობილია, სუსტების იარაღია მშიშარების წინააღმდეგ. მაგრამ თავისუფლებისმოყვარე ხალხები მშიშარები როდი არიან. ისინი ფხიზლად ადევნებენ თვალყურს ომის იმპერიალისტ გამჩაღებელთა ხრიკებს და აძლიერებენ ბრძოლას მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის.

აზიისა და წყნარი ოკეანის ქვეყნების მშვიდობის მომხრეთა მომავალი კონგრესი, რომელიც მალე შეიკრიბება პეკინში, ერთხელ კიდევ მკაფიოდ ცხადყოფს, რომ ხალხები ესწრაფვიან მშვიდობას, რომ მათ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი ჩაშალონ ომის გამჩაღებელთა გეგმები, დაიცვან მშვიდობის დიადი საქმე. იბრძვის რა სან-ფრანცისკოს არათანასწორუფლებიან სეპარატულ ხელშეკრულებათა გაუქმებისათვის, ყველა დაინტერესებული ქვეყნის მონაწილეობით იაპონიასთან ყოვლისმხრივი საზავო ხელშეკრულების დადებისათვის, იაპონიის მილიტარიზმის აღორძინების წინააღმდეგ, იაპონიის ხალხს თავისი წვლილი შეაქვს მშვიდობისათვის ბრძოლის საერთო საქმეში. იაპონიის მშრომელებს, რომლებიც სულ უფრო აქტიურად ილაშქრებენ ამერიკელი ოკუპანტების წინააღმდეგ, შთააგონებს დიადი ისტორიული მაგალითი სსრ კავშირის და ჩინეთის ხალხებისა, რომლებსაც არაერთხელ გაუნადგურებიათ მათი დამონების მსურველი უცხოელი დამპყრობლები.

ყველა ქვეყნის ხალხები ესწრაფვიან მტკიცე მშვიდობის დამყარებას. მათ არა სურთ აგრესიისა და ფაშიზმის კერების აღორძინება. ახალი აგრესიის საფრთხის წინააღმდეგ საიმედო გარანტია, შორეულ აღმოსავლეთსა და მთელ მსოფლიოში მშვიდობის მძლავრი ბურჯია სსრ კავშირისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დიადი მეგობრობა.

საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ხალხთა ერთობლივი ბრძოლა მშვიდობისათვის, მშვიდობიანი მშენებლობის ფრონტზე მათი თავდადებული შრომა აღფრთოვანებს ასეულ მილიონობით ადამიანს, რომლებიც ისწრაფვიან ჩაშალონ ომის იმპერიალისტ გამჩაღებელთა დანაშაულებრივი გეგმები. სსრ კავშირისა და ჩინეთის ძმური მეგობრობა იზრდება და მტკიცდება. ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხს ეს მეგობრობა მიაჩნია შორეულ აღმოსავლეთსა და მთელ მსოფლიოში მშვიდობის მძლავრ ბურჯად და აღფრთოვანებით იმეორებს ამხანაგ ი. ბ. სტალინის სიტყვებს:

— გაუმარჯოს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის ურღვევ მეგობრობას!

„პრავდის" 3/IX მოწინავე.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს

გენერალისიმუს ი. ბ. სტალინს

მოსკოვი.

იაპონიის წინააღმდეგ ომში გამარჯვების მეშვიდე წლისთავის გამო ნება მიბოძეთ პირადად ჩემი, ჩინეთის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიისა და მთელი ჩინელი ხალხის სახელით მხურვალედ მოგილოცოთ და გულითადი მადლობა მოგახსენოთ თქვენ, საბჭოთა კავშირის შეიარაღებულ ძალებსა და მთელ საბჭოთა ხალხს.

იმ დიდმა დახმარებამ, რაც საბჭოთა კავშირმა ჩინელ ხალხს გაუწია იაპონიის წინააღმდეგ ომში, და საბჭოთა არმიის მიერ იაპონიის არმიის მთავარი ძალების — კვანტუნის არმიის განადგურებამ შესაძლებლობა მისცა ჩინელ ხალხს საბოლოო გამარჯვება მოეპოვებინა იაპონიის წინააღმდეგ ომში. საბჭოთა კავშირი ძმურ დახმარებას უწევს ჩინელ ხალხს ჩინეთის აღდგენისა და მშენებლობის საქმეში და ამით ხელს უწყობს ჩინელი ხალხის ძალების სწრაფ ზრდასა და განმტკიცებას.

ახლა, როცა კვლავ ღორძინდება იაპონიის მილიტარიზმი, როცა კვლავ წევენ თავს იაპონიის აგრესიული ძალები, ჩინეთისა და საბჭოთა კავშირის ურღვევი მეგობრობა და კავშირი იმის მტკიცე გარანტიაა, რომ აღარ განმეორდეს აგრესია იაპონიის ან რომელიმე სხვა სახელმწიფოს მხრივ, რომელიც იაპონიასთან გაერთიანდება აგრესიის აქტებით, მტკიცე გარანტიაა აღმოსავლეთსა და მთელ მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნებისა.

გაუმარჯოს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის დიად ურღვევ მეგობრობას!

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალური სახალხო მთავრობის თავმჯდომარე
მაო ძე-დუნი

1952 წლის 2 სექტემბერი.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალური სახალხო მთავრობის თავმჯდომარეს

ამხანაგ მაო ძე-დუნს

პეკინი

გთხოვთ, ამხანაგო თავმჯდომარევ, მიიღოთ ჩემი მადლობა იაპონიის იმპერიალისტებზე გამარჯვების მეშვიდე წლისთავთან დაკავშირებით საბჭოთა ხალხისა და საბჭოთა არმიისადმი თქვენ მიერ გამოთქმული გრძნობებისათვის.

ამ ისტორიულ გამარჯვებაში უდიდესი როლი შეასრულეს ჩინელმა ხალხმა და მისმა სახალხო-განმათავისუფლებელმა არმიამ, რომელთა გმირობამ და თავდადებამ გააადვილა იაპონიის აგრესიის ლიკვიდაციის საქმე.

საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დიადი მეგობრობა წარმოადგენს საიმედო გარანტიას ახალი აგრესიის საფრთხის წინააღმდეგ, შორეულ აღმოსავლეთსა და მთელ მსოფლიოში მშვიდობის მძლავრ ბურჯს.

მიიღეთ, ამხანაგო თავმჯდომარევ, საბჭოთა არმიის მოლოცვა იაპონიის იმპერიალიზმის უღლისაგან ჩინელი ხალხის განთავისუფლების მეშვიდე წლისთავის გამო.

გაუმარჯოს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის ურღვევ მეგობრობას!

გაუმარჯოს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახალხო-განმათავისუფლებელ არმიას!

**სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
ი. სტალინი**

1952 წლის 2 სექტემბერი.

ტირაჟები სექტემბერში

სექტემბერში მოხდება სახელმწიფო სესხების მოგებათა სამი ტირაჟი—7 სექტემბერს ქალაქ კალინინში სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების მეორე სახელმწიფო სესხისა და 30 სექტემბერს მოსკოვში—სახელმწიფო სამპროცენტიანი მომგებიანი სესხის 29-ე ძირითადი და მე-5 დამატებითი ტირაჟი.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების მეორე სახელმწიფო სესხის გამოშვების პირობების თანახმად 8 სექტემბერს ქალაქ კალინინში მოხდება სესხის დაფარვის პირველი ტირაჟი. დაფარულ (გამოსყიდულ) იქნება 500 სერიის ობლიგაციები. სესხის ყოველ ას მილიონ მანეთზე გამოსყიდულ იქნება 2,5 მილიონი მანეთის ობლიგაციები. (საქტესი).

კინოხელოვნების მძლავრი აღმავლობისათვის

ექვსი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო სპეციალური დადგენილება კინოფილმ „დიდი ცხოვრების" შესახებ.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის ცნობილ დადგენილებებში იდეოლოგიურ საკითხებზე ნათლად და მკაფიოდ არის დასახული სოციალისტური კულტურის ამოცანები და მისი განვითარების გზები კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის პერიოდში. ეს დადგენილებები ერთხელ კიდევ ადასტურებენ კომუნისტური პარტიის, საბჭოთა მთავრობის, პირადად ამხანაგ სტალინის დაუღალავ ზრუნვას საბჭოთა კულტურის შემდგომი აღმავლობისათვის.

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ისტორიულ დადგენილებაში კინოფილმ „დიდი ცხოვრების" შესახებ აღნიშნულია, რომ „საბჭოთა მაყურებელი გაიზარდა, მისი კულტურული მოთხოვნილება და მოთხოვნა გადიდდა, ხოლო პარტია და სახელმწიფო მომავალშიც ჩაუნერგავენ ხალხს კარგ გემოვნებასა და მაღალ მომთხოვნელობას ხელოვნების ნაწარმოებისადმი". სწორედ ამიტომ საბჭოთა ხელოვნების მუშაკებს უფლება არა აქვთ შექმნან მდარე, არასრულფასოვანი ნაწარმოებნი. ეს განსაკუთრებით შეეხება „ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი და მასობრივი ხელოვნების"—კინოს მუშაკებს.

ჩვენი პარტია საბჭოთა კინოხელოვნების მუშაკებს მოუწოდებს შექმნან ცხოვრების სიმართლით ამსახველი, მაღალიდეური და მხატვრულად სრულფასოვანი, ჩვენი დიადი ეპოქის შესაფერი ნაწარმოებნი. პარტია მოუწოდებს მწერლებს და კინოდრამატურგებს თავიანთი შემოქმედების ძირითად თემად გაიხადონ ჩვენი საბჭოთა სინამდვილე, საბჭოთა ქვეყნის მიღწევები, კომუნიზმის მშენებელი ადამიანების ცხოვრება და შრომა. ჩვენი კინოფილმების გმირებად უნდა იყვნენ ახალი ცხოვრების აქტიური მშენებლები—მუშები, კოლმეურნეები, საბჭოთა ინტელიგენციის წარმომადგენლები, ჩვენი შესანიშნავი ახალგაზრდობა.

მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა კინოხელოვნების ოსტატებმა, ბოლშევიკური პარტიის ისტორიულ დადგენილებათა, დიდი სტალინის ბრძნულ მითითებათა საფუძველზე, საგრძნობლად აამაღლეს კინოფილმების იდეურ-პოლიტიკური და მხატვრული დონე, შექმნეს მთელი რიგი ღირსშესანიშნავი ფილმები, რომელთაც მსოფლიო სახელი და პირველობა დაუმკვიდრეს საბჭოთა კინემატოგრაფიას, უნდა აღინიშნოს, რომ კინოხელოვნების მუშაკები ჯერ კიდევ ვალში არიან საბჭოთა ხალხის წინაშე. კერძოდ ეს ითქმის საქართველოს კინემატოგრაფიაზე, რომელიც საგრძნობლად ჩამორჩა ჩვენი ქვეყნის განვითარების ტემპებს, სათანადოდ ვერ უპასუხებს ჩვენი პარტიის მოწოდებას.

საბჭოთა კინემატოგრაფიას, რომელსაც ყველა პირობა გააჩნია წარმატებითი შემოქმედებითი მუშაობისათვის, უფლება არა აქვს ჩამორჩეს დიადი საბჭოთა ცხოვრების ძლევამოსილ წინსვლას, მას უფლება არა აქვს გამოუშვას უფერული და მდარე ხარისხის კინოფილმები. სამწუხაროდ, უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი კარგი კინოფილმიც ვერ აკმაყოფილებს ამ მოთხოვნას, ვერ აღწევს მაღალ მხატვრულ დონეს, ყველა პერსონაჟი როდია მასში ერთნაირი სიძლიერით წარმოსახული და ვერც ყველა თემა პოულობს იქ სრულყოფილ მხატვრულ ასახვას. მაგალითად, კარგი ფილმი „კონსტანტინე ზასლონოვი", როგორც ამას „პრავდა" აღნიშნავდა, ბევრად მოიგებდა, რომ მის ავტორებს უფრო მკაფიოდ და დამაჯერებლად წარმოესახათ პარტიზანული მოძრაობა.

ქართული კინემატოგრაფია, რომელმაც წარსულში შექმნა მთელი რიგი ღირსშესანიშნავი ფილმები, უკანასკნელი წლების მანძილზე ძლიერ დაქვეითდა, მან მხოლოდ რამდენიმე მხატვრული ფილმი დადგა და მათი იდეურ-მხატვრული დონეც დაბალია. ამის ერთ-ერთ ძირითად მიზეზს წარმოადგენდა სასცენარო საქმის მოუწესრიგებლობა. ქართული კინემატოგრაფიის ყოფილმა ხელმძღვანელობამ, იმის ნაცვლად, რომ მხატვრული ფილმების გამოშვებაზე ეზრუნა, სერიოზული ყურადღება მიეპყრო სცენარების მომზადებისათვის, ეს საქმე თვითდინებას მიანდო. თბილისის კინოსტუდია თავს ვერ ართმევდა მის წინაშე მდგომ ამოცანებს და ნაკლებ მომთხოვნელობას იჩენდა პროდუქციის ხარისხისადმი. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირიც თავს არიდებდა ამ საქმეს და აქტიურად არ მონაწილეობდა მაღალხარისხოვანი სცენარების შექმნაში.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ყოფილი ხელმძღვანელობის უყურადღებობამ და მანკიერი სტილით მუშაობამ, ისევე როგორც თვით კინემატოგრაფიის ყოფილი ხელმძღვანელობის უდარდელობამ, ქართული კინემატოგრაფია იმ მდგომარეობამდე მიიყვანა, რომ მას ამჟამად წარმოებაში არა აქვს არც ერთი მხატვრული ფილმი და არ მოეპოვება არც ერთი სრულფასოვანი კინოსცენარი.

ეს გარემოება ამ დღეებში საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის სპეციალური განხილვისა და მსჯელობის საგანი გახდა. საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა დასახა კონკრეტული ღონისძიებანი, რომელთა განხორციელებამ ძირითადი გარდატეხა უნდა მოახდინოს მაღალიდეური სცენარებით ქართული კინემატოგრაფიის უზრუნველყოფის საქმეში და აიყვანოს კინოხელოვნების მუშაკთა შემოქმედება მოწოდების დონეზე.

მიმდინარე წელს დაძლეულ უნდა იქნას ქართული კინემატოგრაფიის ჩამორჩენა და საფუძველი ჩაეყაროს მაღალიდეური, მაღალმხატვრული ფილმების წარმოების ფართოდ გაშლას. საქართველოს კინოხელოვნების მუშაკებმა მტკიცე შემოქმედებითი ურთიერთობა და კავშირი უნდა დაამყარონ მწერლებთან და დრამატურგებთან, უნდა აამაღლონ თავიანთი მხატვრული ოსტატობა, მეტი მომთხოვნელობა და პრინციპულობა გამოიჩინონ შემოქმედების პროცესში.

საჭიროა ფართოდ გავშალოთ კინოხელოვნების მუშაკთა შორის პრინციპული, ბოლშევიკური კრიტიკა და თვითკრიტიკა. ეს აუცილებელი პირობაა იმისათვის, რომ ჩვენმა კინემატოგრაფიამ შექმნას საბჭოთა კინოხელოვნების დიდი ტილოები, რომლებიც ღირსეულად ასახავენ დიადი სტალინური ეპოქის ადამიანთა გმირულ საქმეებს.

საქართველოს კინემატოგრაფიის მუშაკებმა ბოლომდე უნდა გარდაქმნან თავიანთი მუშაობა კინოფილმ „დიდი ცხოვრების" შესახებ საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის ისტორიული დადგენილების შესაბამისად, უზრუნველყონ ქართული კინოხელოვნების ახალი აღმავლობა.

აზერბაიჯანის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

ბაქო, 30 აგვისტო. (საქტესი). გაიმართა აზერბაიჯანის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმი. პლენუმმა გადაწყვიტა 1952 წლის 23 სექტემბერს მოწვეულ იქნას აზერბაიჯანის კ. პ. (ბ) მორიგი XIX ყრილობა. ყრილობის დღის წესრიგი: აზერბაიჯანის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება; განხილვა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პროექტისა —„პარტიის XIX ყრილობის დირექტივები სსრ კავშირის განვითარების 1951-1955 წლების მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესახებ"; პარტიის შეცვლილი წესდების პროექტის განხილვა; აზერბაიჯანის კ. პ. (ბ) ხელმძღვანელი ორგანოების არჩევნები; საკავშირო კ. პ. (ბ) XIX ყრილობის დელეგატების არჩევნები.

სტალინის სახელობის ქარხნის კოლექტივის მაგალითისამებრ

კიროველთა ვალდებულებანი

ამ დღეებში მაღალნაყოფიერად შრომობს კიროვის სახელობის ქარხნის კოლექტივი. მათ უკანასკნელ ხანებში კიდევ უფრო გააძლიერეს მუშაობის ტემპი. მძლავრი შრომითი აღმავლობა, რომელიც ახლა ქარხნის საამქროებში იგრძნობა, გამოწვეულია საკავშირო კომუნისტური პარტიის XIX ყრილობისათვის გაცხოველებული მზადებით.

დილის ცვლა მუშაობას ამთავრებდა. ყრილობის აღსანიშნავ სტახანოვურ ვახტზე მდგომ მუშებს აინტერესებდათ როგორი შედეგით დასრულდა მათი შრომითი დღე, რა მაჩვენებლებით მივლენ საერთო-საქარხნო კრებაზე, სადაც საწარმოს კოლექტივმა პარტიის XIX ყრილობასთან დაკავშირებით ახალი სოციალისტური ვალდებულებანი უნდა აიღოს. მექანიკური საამქროს ჩქაროსან ხარატს ვ. ბაქრაძეს დავალება 275 პროცენტით შეუსრულებინა, ამწყობი საამქროს მოწინავე ზეინკალს ს. ჯიოევს—სამმაგად და კიდევ მეტად, მე-9 საამქროს ხარატს ა. შუშაბერიძეს კი ცვლის გეგმა 250 პროცენტით გაუნაღდებინა.

ასეთი სასახელო შედეგებით მოვიდნენ ჩარხმშენებლები თავიანთ კრებაზე. ქარხნის ეზო, სადაც კრება უნდა გამართულიყო, ხალხით გაივსო.

ქარხნის დირექტორმა ამხ. ა. მელაძემ, რომელმაც მოხსენება გააკეთა, თქვა:

— ჩვენი ქარხნის კოლექტივი ერთსულოვნად უჭერს მხარს სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის კოლექტივის თაოსნობას და აჩაღებს სოციალისტურ შეჯიბრებას პარტიის XIX ყრილობის აღსანიშნავად. კიროველები ახალი შრომითი წარმატებებით შეხვდებიან მშობლიური პარტიის ყრილობას და ამით ერთხელ კიდევ დაამტკიცებენ პარტიისადმი, ამხანაგ სტალინისადმი თავიანთ სიყვარულსა და ერთგულებას.

პირველ საამქროში ღრმად სწავლობენ ყრილობისათვის გამოქვეყნებულ მასალებს — მეხუთე ხუთწლედის დირექტივების პროექტს, საკავშირო კომუნისტური პარტიის შეცვლილი წესდების პროექტს, ამხ. ნ. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისებს. — ამის შესახებ ილაპარაკა პირველი საამქროს უფროსის მოადგილემ ამხ. ლ. გოგიჩაძემ.

— საამქროს კოლექტივის დავალებით ვაცხადებ, — ამბობს იგი, — რომ სექტემბრის საწარმოო გეგმას 5 პროცენტის გადაჭარბებით გავანაღდებთ.

—არ დავუშვებ წუნს მუშაობაში, კიდევ უფრო კულტურულად მოვაწყობ სამუშაო ადგილს, კარგად მოვუვლი ჩარხს. ვდგები რა სტახანოვურ ვახტზე, ვკისრულობ ყოველდღიური დავალება ორმაგად შევასრულო! — ასეთი ვალდებულება აიღო პირველი საამქროს ახალგაზრდა სტახანოველმა მრანდავმა ი. ხუციშვილმა.

თბილისის კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნის კოლექტივის მიერ პარტიის XIX ყრილობის აღსანიშნავად აღებულ სოციალისტურ ვალდებულებაში ნათქვამია:

ქარხნის კოლექტივი იღებს: საერთო პროდუქციის გამოშვების 9 თვის გეგმა შევასრულოთ 106 პროცენტით, სასაქონლო პროდუქციისა—105 პროცენტით, დავალების გადამეტებით სექტემბერში ავითვისოთ და გამოვუშვათ ორი ახალი ტიპის რამდენიმე ჩარხი, წლიური შეკვეთები ნაჭედზე შევასრულოთ სამი თვით ადრე, მივაღწიოთ პროდუქციის ხარისხის შემდგომ ამაღლებას და წუნით გამოწვეული დანაკარგების შემცირებას, შრომის ნაყოფიერება გეგმასთან შედარებით გავზარდოთ 5 პროცენტით, სექტემბრის ბოლოსათვის ზეგეგმითი დაგროვება ავიყვანოთ 200 ათას მანეთამდე. დავამთავროთ ახალი, მოდერნიზებული სახარატო-ხრახნმჭრელი ჩარხის დაპროექტება და ნახაზების შედგენა.

ვალდებულება ითვალისწინებს აგრეთვე 9 თვეში 30 ათასი კილოვატსაათი ელექტროენერგიის ეკონომიას.

ასე საქმიანად გამოეხმაურნენ კიროველები სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის კოლექტივის მოწოდებას.

პარტიულ-ორგანიზაციული და პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის ახალი აღმავლობით აღვნიშნოთ ყრილობისათვის მზადების ისტორიული დღეები

აჭარის საოლქო პარტიულ კონფერენციაზე

შედგა აჭარის XXI საოლქო პარტიული კონფერენცია. საანგარიშო მოხსენება საოლქო კომიტეტის მუშაობის შესახებ გააკეთა საქართველოს კ. პ. (ბ) აჭარის საოლქო კომიტეტის მდივანმა ამხ. გ. ცინცაბაძემ.

— საბჭოთა ხელისუფლების წლებში, — თქვა მომხსენებელმა, — აჭარა უმაგალითოდ შეიცვალა. აჭარის სახალხო მეურნეობა და კულტურა განსაკუთრებით მძლავრად იმ წლებში ვითარდებოდა, როცა საქართველოს პარტიულ ორგანიზაციას სათავეში ედგა და უშუალოდ ხელმძღვანელობდა დიდი სტალინის ერთგული თანამებრძოლი ლავრენტი პავლეს-ძე ბერია.

მაგრამ უკანასკნელ წლებში აჭარის სახალხო მეურნეობის განვითარება და კულტურული წინსვლა შეფერხდა და საგრძნობლად ჩამორჩა განვითარების საერთო ტემპს. გამოუყენებელი დარჩა რესპუბლიკის მთელი უმდიდრესი შესაძლებლობანი. აჭარის პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციების ხელმძღვანელობაში დამკვიდრდა მუშაობის მანკიერი სტილი, თვითდამშვიდების, უდარდელობისა და პარადული კეთილდღეობის მავნე განწყობილება.

ასეთი მდგომარეობა აჭარის პარტიულ ორგანიზაციაში პირდაპირი შედეგი იყო საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ყოფილი ხელმძღვანელობის მანკიერი სტილით მუშაობისა, რომელმაც დიდი ზიანი მიაყენა კომუნისტური მშენებლობის საქმეს. საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ყოფილი ხელმძღვანელობის სიფხიზლის მოდუნების შედეგად, პარტიისადმი, ხალხისადმი მტრულად განწყობილი ადამიანები ახერხებდნენ ნდობის მოპოვებას, შესაძლებლობა ეძლეოდათ ზიანი მიეყენებინათ საქმისათვის, ჩვენი შემოქმედებითი მუშაობისათვის.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის განახლებული ხელმძღვანელობის დახმარებით აჭარის პარტიულმა ორგანიზაციამ თავისი რიგებიდან განდევნა უღირსი ადამიანები, რომლებსაც ხელმძღვანელი თანამდებობები ეკავათ, და მტკიცედ მოჰკიდა ხელი ძველი ხელმძღვანელობის მუშაობის მანკიერი სტილის შედეგების ლიკვიდაციას. აჭარის პარტიულმა ორგანიზაციამ თავის ამ დიდ მუშაობას საფუძვლად დაუდო საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის უკანასკნელი პლენუმების გადაწყვეტილებანი და ბათუმის პარტიული აქტივის კრებაზე საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხ. ა. მგელაძის მოხსენება, რომელშიც დასახულია აჭარის პარტიული ორგანიზაციის მორიგი ამოცანები, მოცემულია აჭარის სახალხო მეურნეობისა და კულტურის შემდგომი მძლავრი განვითარების პროგრამა.

ამჟამად აჭარის პარტიული ორგანიზაცია და მისი საოლქო კომიტეტი ახორციელებს თავისი მუშაობის გარდაქმნას, ყველა დონეს ხმარობს არსებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად. გადაუდებელი ამოცანაა მრეწველობის ჩამორჩენის ლიკვიდაცია. რესპუბლიკის მრეწველობამ საერთო პროდუქციის გამოშვების 7 თვის გეგმა 99,5 პროცენტით შეასრულა.

სამრეწველო საწარმოთა მუშაობის ძირითადი ნაკლია ის, რომ არ სრულდება დავალება პროდუქციის ნომენკლატურისა და ხარისხის მხრივ.

აჭარის ასსრ-ში სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების უხეში დარღვევათა ლიკვიდაციის საქმეში გადამწყვეტი როლი შეასრულა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის აპრილისა და მაისის პლენუმების დადგენილებებმა. ამ დადგენილებათა საფუძველზე გამოვლინებულ იქნა და კოლმეურნეობებს დაუბრუნდა უკანონოდ გაცემული და მითვისებული 107,6 ჰექტარი საკოლმეურნეო მიწა, 719,6 ცენტნერი მარცვლეული, 130 სული მსხვილფეხა რქიანი და 728 სული წვრილფეხა პირუტყვი, 3.829 ფრთა ფრინველი, დაფარულ იქნა 6.412.415 მანეთი დებიტორული დავალიანება. არტელის წესდების დარღვევაში დამნაშავე პირები მიცემული არიან პასუხისგებაში.

მიღებულმა ზომებმა დიდად შეუწყო ხელი კოლმეურნეობათა სამეურნეო და ორგანიზაციულ განმტკიცებას. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ამ მიმართულებით გაწეული მუშაობა არადამაკმაყოფილებელია.

შემდეგ მომხსენებელი აღნიშნავს, რომ წელს აჭარის კოლმეურნეობებმა სახელმწიფოს უნდა ჩააბარონ 17.745 ტონა ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი, მაგრამ კრეფა ნელა მიმდინარეობს. 29 აგვისტოსათვის ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის გეგმა შესრულებული იყო მხოლოდ 74 პროცენტით. ჩამორჩენილი არიან ჩაის საბჭოთა მეურნეობებიც. ჩამორჩენა იმის შედეგია, რომ დაბალია შრომის დისციპლინა. საჭიროა დაუყოვნებლივ აღმოვფხვრათ ნაკლოვანებები, გავაძლიეროთ ჩაის კრეფის ტემპი.

ამხ. ცინცაბაძემ ვრცლად ილაპარაკა ციტრუსოვანთა მეურნეობისა და საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების საკითხებზე.

მომხსენებელი შეეხო საქალაქო მეურნეობის მდგომარეობას და აღნიშნა, რომ დღემდე გამოუყენებელია არსებული შესაძლებლობანი და მთავრობის მიერ გამოყოფილი დიდი თანხები ქალაქ ბათუმისა და რაიონული ცენტრების რეკონსტრუქციისა და კეთილმოწყობისათვის.

სასამართლოს, პროკურატურისა და მილიციის ორგანოები სუსტად იბრძვიან საბჭოთა კანონიერების დამრღვევთა, საზოგადოებრივი ქონების მიმთვისებლების, გამფლანგველებისა და მტაცებლების წინააღმდეგ.

მომხსენებელმა დაასახელა მრავალი ფაქტი, რომლებიც მოწმობენ ჯანმრთელობის დაცვისა და განათლების სამინისტროების არადამაკმაყოფილებელ მუშაობას. ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი ამხ. რ. ინაიშვილი ზერელედ ხელმძღვანელობს მინდობილ საქმეს.

საანგარიშო მოხსენებაში ვრცლად იყო გაშუქებული კომუნისტების მარქსისტულ-ლენინური სწავლების საკითხები. როგორც მთელ იდეოლოგიურ, ისე, კერძოდ, პარტიულ-პროპაგანდისტულ მუშაობაზე უარყოფითი გავლენა მოახდინა მანკიერმა სტილმა, რომელიც აჭარის პარტიულ ორგანიზაციაში დანერგა საოლქო კომიტეტის ყოფილმა ხელმძღვანელობამ. პარტიული განათლების ქსელის ზოგიერთ წრესა და პოლიტსკოლაში მეცადინეობა დაბალ იდეურ დონეზე ეწყობოდა.

დიდი ნაკლოვანებები გამომჟღავნდა კომუნისტთა თვითგანათლების საქმეში. სათანადო სიმაღლეზე არ იყო დაყენებული ლექციური პროპაგანდა. პარტიული კომიტეტების ლექტორთა ჯგუფების ძალებით წელს მოეწყო 115 ლექცია სოციალისტური საკუთრების დაცვისა და საბჭოთა კანონიერების განმტკიცების საკითხებზე. ეს ძალიან მცირეა.

საქალაქო და რაიონული კომიტეტები სათანადო ყურადღებას არ აქცევენ აგიტატორთა კადრების სწორად შერჩევას და ინტელიგენციის ჩაბმას საგიტაციო მუშაობაში. საგიტაციო მუშაობა განსაკუთრებით არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული ხულოსა და ქედის რაიონებში.

მოხსენების დიდი ნაწილი დათმობილი ჰქონდა შინაპარტიული მუშაობის მდგომარეობის გაშუქებას, პარტიის საოლქო, საქალაქო, რაიონული კომიტეტებისა და პირველადი პარტიული ორგანიზაციების საქმიანობის კრიტიკას.

აჭარის პარტიულ ორგანიზაციაში ჩაშლილი იყო შინაპარტიული მუშაობა, პარტიული ორგანიზაციები არ ცხოვრობდნენ სისხლსავსე ცხოვრებით. ამას ადასტურებს პარტიული კრებების მომზადებისა და ჩატარების არადამაკმაყოფილებელი დონე, კომუნისტების დაბალი აქტივობა საკითხების განხილვისას. საოლქო, საქალაქო, რაიონული კომიტეტების მდივნები, განყოფილებათა გამგეები იშვიათად მიდიოდნენ პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში.

მომხსენებლის მიერ მოყვანილი მთელი რიგი ფაქტები მოწმობენ, რომ პარტიის საოლქო კომიტეტის ყოფილი ხელმძღვანელები შეგნებულად უვლიდნენ გვერდს კომკავშირისადმი პარტიული ხელმძღვანელობის საკითხებს, არ ეხმარებოდნენ კომკავშირულ ორგანიზაციებს მუშაობაში.

ახლა, როცა საქართველოს კომუნისტური პარტია, შეიარაღებული საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ისტორიული გადაწყვეტილებებით, ამხანაგ სტალინის მითითებებით, დიდ მუშაობას ეწევა არსებული შეცდომების აღმოსაფხვრელად და ცხოვრებას იწყებს სისხლსავსე პარტიული ცხოვრებით, აჭარის საოლქო პარტიული ორგანიზაცია სწრაფად აწყობს თავისი მუშაობის გარდაქმნას და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ახალი ხელმძღვანელობის დახმარებით ენერგიულ ზომებს იღებს სამეურნეო და კულტურული მშენებლობისადმი ხელმძღვანელობის გადაჭრით გაუმჯობესებისათვის.

— აჭარის ბოლშევიკები, — ამბობს დასასრულ ამხ. გ. ცინცაბაძე,—უდიდესი სიხარულით შეხვდნენ ცნობას საკავშირო კ. პ. (ბ) XIX ყრილობის მოწვევის შესახებ. ჩვენი პარტიის ცხოვრებაში ამ უმნიშვნელოვანესმა მოვლენამ მასების ახალი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობა გამოიწვია. აჭარის მშრომელებმა გააჩაღეს ყრილობის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრება, იკისრეს ახალი გადიდებული ვალდებულებანი და თავიანთი წვლილი შეაქვთ დიადი სამშობლოს კეთილდღეობის შემდგომი აღმავლობის საქმეში. პარტიული ორგანიზაციების ამოცანაა სათავეში ჩაუდგნენ მასების გაზრდილ პოლიტიკურ და საწარმოო აქტივობას, ღირსეულად შეხვდნენ პარტიის XIX ყრილობას.

მოხსენების გამო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღო 24 დელეგატმა. მათ მკვეთრად გააკრიტიკეს საოლქო კომიტეტის ყოფილი ხელმძღვანელობა, რომელმაც პარტიული ორგანიზაციების მუშაობაში დანერგა მანკიერი სტილი და დიდი ზიანი მიაყენა აჭარაში კომუნისტური მშენებლობის საქმეს, ამხილეს აჭარის პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციების მუშაობაში არსებული სერიოზული ნაკლოვანებანი.

პარტიის ბათუმის, ხულოს, ქობულეთისა და ქედის რაიკომების მდივნებმა ამხ. ს. ესაძემ, ვ. ვადაჭკორიამ, დ. ხელაძემ და ვ. კიკვაძემ მოიყვანეს სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების უხეშად დარღვევის, კოლმეურნეობათა მიწების, პირუტყვის, პროდუქტების, ფულადი სახსრების მითვისებისა და დატაცების ფაქტები. ამ რაიონების პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციებში გამეფებული იყო პოლიტიკური უდარდელობა, თვითდამშვიდებისა და პარადული კეთილდღეობის განწყობილება, საერთო დამაკმაყოფილებელ მაჩვენებლებს იქით ვერ ხედავდნენ დიდ ნაკლოვანებებსა და უხეშ დარღვევებს საკოლმეურნეო წარმოების დარგში. მთელ რიგ კოლმეურნეობებში მოუწესრიგებელი იყო შრომა, სათანადოდ არ უვლიდნენ ნათესებსა და პლანტაციებს, გამოყენებული არ იყო მოწინავე აგრობიოლოგიის მიღწევები.

ამჟამად რაიონებში დაწყებულია მუშაობა ამ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

შემდეგ მათ მკვეთრად გააკრიტიკეს აჭარის ასსრ ტექნიკური კულტურებისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროები კოლმეურნეობებისადმი არადამაკმაყოფილებელი ხელმძღვანელობისა და დახმარებისათვის.

ბათუმის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. ბ. მეფარიშვილმა აღნიშნა, რომ უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში არაფერი არ გაკეთებულა ბათუმის კეთილმოწყობისათვის. დაწყებული მშენებლობა წლობით ჭიანურდება, ცუდ მდგომარეობაშია არსებული საცხოვრებელი ფონდი, მისი მოვლა-შეკეთება. ქალაქის საბინაო სამმართველო მოუქნელად მუშაობს. მოსახლეობა არადამაკმაყოფილებლად მარაგდება სასმელი წყლით, სათანადოდ უზრუნველყოფილი არ არის ელექტროგანათებით. მოუწესრიგებელია კანალიზაცია.

სტალინის სახელობის ნავთობგადამმუშავებელი ქარხნის პარტბიუროს მდივანმა ამხ. შ. მაქაცარიამ, ბერიას სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის სტახანოველმა ხარატმა ამხ. შ. ვადაჭკორიამ, ფეხსაცმლის ფაბრიკის დირექტორმა ამხ. გ. ებრალიძემ განაცხადეს, რომ მრეწველობის მუშაობაში სერიოზული ნაკლოვანებები პირდაპირი შედეგია პარტიის საოლქო კომიტეტისა და საქალაქო კომიტეტის ყოფილი ხელმძღვანელობის მუშაობის მანკიერი სტილისა. საოლქო და საქალაქო კომიტეტების ყოფილი ხელმძღვანელობა სამეურნეო მუშაკთა შორის ნერგავდა უდარდელობას და პარადული კეთილდღეობის განწყობილებას. დიდი ნაკლოვანებებით ხასიათდებოდა საწარმოთა პარტიული ორგანიზაციების საქმიანობა. ამჟამად ფაბრიკა-ქარხნებში დაწყებულია მუშაობა ამ ნაკლოვანებათა უსწრაფესი აღმოფხვრისათვის. ეს მუშაობა უნდა გაძლიერდეს და დაჩქარდეს.

კომკავშირის საოლქო კომიტეტის მდივანმა ამხ. კ. შავიშვილმა აღნიშნა, რომ კომკავშირის საოლქო კომიტეტი და მისი განყოფილებები ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებლად იბრძვიან ნაკლოვანებების გამოსასწორებლად და კომკავშირული მუშაობის ასაყვანად ახალი ამოცანების დონეზე. ახალგაზრდობაში შემჩნეულია უდისციპლინობისა და ამორალური ქცევის შემთხვევები, რაც პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის დაბალი დონით უნდა აიხსნას. ხელმძღვანელი პარტიული მუშაკები იშვიათად გამოდიან ახალგაზრდობის წინაშე ლექციებითა და პოლიტიკური მოხსენებებით.

აჭარის ასს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. მ. გოგოლიშვილმა და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხ. დ. დავითაძემ სწორად ცნეს კონფერენციის დელეგატების მიერ მათი კრიტიკა და აღიარეს, რომ, როგორც საოლქო კომიტეტის ბიუროს წევრებმა, მათ ვერ გამოიჩინეს ბოლშევიკური სიფხიზლე და პრინციპულობა, მუშაობდნენ კაბინეტურად, იჩენდნენ უდარდელობას და თვითდამშვიდებას. მათ პირობა დადეს, რომ გამოასწორებენ დაშვებულ შეცდომებს.

კონფერენცია ვერ დააკმაყოფილა აჭარის ასსრ ადგილობრივი მრეწველობის მინისტრის ამხ. ს. ხარაზის გამოსვლამ. მან ბევრი ილაპარაკა სხვის ნაკლოვანებებზე, მაგრამ არსებითად არაფერი თქვა თავის არადამაკმაყოფილებელ, მოუქნელ მუშაობაზე, რომელიც მკვეთრად იყო გაკრიტიკებული მომხსენებლისა და დელეგატების მიერ.

თვითკრიტიკული არ იყო აგრეთვე ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის ამხ. რ. ინაიშვილის და განათლების მინისტრის ამხ. ვ. ახვლედიანის გამოსვლები. ამხ. ინაიშვილმა ზოგადად ილაპარაკა ჯანმრთელობის დაცვის საკითხებზე, მაგრამ არაფერი თქვა ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებზე.

საანგარიშო მოხსენების გამო სიტყვებით გამოვიდნენ აგრეთვე აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. დ. მამულაძე, ქობულეთის რაიონის სოფელ ხუცუბნის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაციის მდივანი ამხ. ბ. ბაჯელიძე, ოჩხამურის ჩაის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი ამხ. ი. ფუტკურიძე, ტექნიკური კულტურების მინისტრი ამხ. ა. თხილაიშვილი, რესპუბლიკის პროკურორი ამხ. ა. ტაკიძე და სხვები.

დაშვებული უხეში პოლიტიკური შეცდომებისა და სუსტი პრაქტიკული მუშაობისათვის კონფერენციამ საოლქო კომიტეტის მუშაობა ცნო არადამაკმაყოფილებლად, დაამტკიცა სარევიზიო კომისიისა და სამანდატო კომისიის მოხსენებები და დასახა გაშლილი ღონისძიებანი მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა უსწრაფესი გამოსწორებისათვის.

* * *

აჭარის XXI საოლქო პარტიულმა კონფერენციამ განიხილა საკავშირო კ. პ. (ბ) XIX ყრილობის დირექტივების პროექტი „სსრ კავშირის განვითარების 1951-1955 წლების მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესახებ“ და პარტიის შეცვლილი წესდების ტექსტის პროექტი.

პირველ საკითხზე სიტყვით გამოვიდა საოლქო კომიტეტის მდივანი ამხ. ა. ბერიძე.

ამ საკითხის განხილვაში მონაწილეობა მიიღეს მანქანათმშენებელი ქარხნის დირექტორმა ამხ. ა. მგალობლიშვილმა, ხულოს რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. ა. ქონიაძემ, ქობულეთის რაიონის სოფელ ბობოყვათის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. ლ. წულუკიძემ და სხვებმა, რომლებმაც ილაპარაკეს იმ საყოველთაო აღფრთოვანებაზე, დიდ პოლიტიკურ და საწარმოო აღმავლობაზე, რომელიც გამოიწვია პარტიის XIX ყრილობის ისტორიული დოკუმენტების გამოქვეყნებამ. აჭარის მშრომელები ერთსულოვნად იწონებენ პროექტს მეხუთე ხუთწლიანი გეგმისას, რომელიც უზრუნველყოფს სახალხო მეურნეობის ყველა დარგის უმაგალითოდ განვითარებას, მოსახლეობის მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის შემდგომ განუხრელ აღმავლობას. ფაბრიკა-ქარხნებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება პარტიის XIX ყრილობის აღსანიშნავად. მშრომელებმა იკისრეს გადიდებული საწარმოო ვალდებულებანი, დადგნენ სტახანოვურ ვახტზე და ახალ შრომით წარმატებებს აღწევენ.

კონფერენციამ მიიღო დადგენილება, რომლითაც ერთსულოვნად იწონებს საკავშირო კ. პ. (ბ) XIX ყრილობის დირექტივების პროექტს „სსრ კავშირის განვითარების 1951-1955 წლების მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესახებ“.

მეორე საკითხის გამო სიტყვა წარმოთქვა საოლქო კომიტეტის მდივანმა ამხ. მ. ეკიზაშვილმა. მან განაცხადა, რომ პარტიის წესდების დამატებანი და ცვლილებანი, რომლებსაც საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პროექტი ითვალისწინებს, გამოხატავენ საბჭოთა კავშირის უდიდეს მიღწევებს და ასახავენ პარტიულ მშენებლობაში მოპოვებულ გამოცდილებას.

სიტყვებით გამოვიდნენ. პარტიის ბათუმის საქალაქო კომიტეტის მდივანი ამხ. ვ. ყიფიანი, პარტიის ქედის რაიკომის მდივანი ამხ. ვ. ნაკაშიძე, პედაგოგიური ინსტიტუტის პარტბიუროს მდივანი ამხ. ა. სალუქვაძე და სხვები. მათ ერთსულოვნად მოიწონეს პარტიის შეცვლილი წესდების ტექსტის პროექტი და განაცხადეს, რომ ეს ცვლილებანი ხელს შეუწყობენ პარტიული მუშაობის ახალ, დიდ აღმავლობას.

ერთხმად მიღებული დადგენილებით კონფერენციამ მოიწონა პარტიის შეცვლილი წესდების ტექსტის პროექტი.

* * *

კონფერენციამ აირჩია საოლქო კომიტეტისა და სარევიზიო კომისიის ახალი შემადგენლობა, აგრეთვე საქართველოს კ. პ. (ბ) XV ყრილობის დელეგატები.

კონფერენციის მონაწილეებმა უდიდესი აღფრთოვანებით მიიღეს მისალმება ხალხთა დიდი ბელადისა და მასწავლებლის ამხანაგ სტალინისადმი.

მისალმება გაეგზავნა დიდი სტალინის სახელოვან თანამებრძოლს ამხანაგ ლ. პ. ბერიას.

* * *

შედგა ახლად არჩეული საოლქო კომიტეტის პლენუმი. პლენუმმა საოლქო კომიტეტის პირველ მდივნად აირჩია ამხ. გ. ცინცაბაძე, მეორე მდივნად — ამხ. ა. ბერიძე, მდივნად — ამხ. მ. ეკიზაშვილი.

საოლქო კონფერენციისა და საოლქო კომიტეტის პლენუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. ვ. ბუჯიაშვილმა.

უხვი სტალინური მოსავლისათვის

გარეუბნის რაიონი

თბილისის გარეუბნის რაიონში მემინდვრეობისა და სოფლის მეურნეობის სხვა დარგების განვითარებისათვის უდიდეს პერსპექტივებს იძლევა სტალინის სახელობის სამგორის სარწყავი არხი. ირწყვება და უხვმოსავლიანი გახდა ათასობით ჰექტარი ურწყავი მიწა, რაც მნიშვნელოვნად წაწევს წინ რესპუბლიკის ეკონომიკას და სერიოზულ წვლილს შეიტანს რესპუბლიკის საკუთარი მარცვლეულით უზრუნველყოფის საქმეში, ახალი სტალინური ხუთწლედით ამ დარგში დასახული ამოცანის ბრწყინვალედ შესრულებისათვის ბრძოლაში.

მაგრამ ჯერჯერობით, როგორც XII რაიონულ პარტიულ კონფერენციაზე რაიკომის მდივანმა ამხ. დ. გელაშვილმა თავის საანგარიშო მოხსენებაში და დელეგატებმა აღნიშნეს, რაიონი სოფლის მეურნეობის დარგში ვერ ასრულებს მთელ რიგ სახელმწიფო დავალებებს. მაგალითად, არ სრულდება პურის საშუალო მოსავლიანობის გეგმა, რაც ძირითადად შრომის ცუდი ორგანიზაციის შედეგია. ამავე მიზეზით ახსნა მომხსენებელმა ის ფაქტიც, რომ რაიონში სამარცხვინოდ გაჭიანურდა მოსავლის აღება, არის დანაკარგები, სრული დატვირთვით არ მუშაობდნენ კომბაინები. რაიონის მტს-ები მოსავლის აღების დღეებში სათანადოდ ვერ ემსახურებოდნენ კოლმეურნეობებს.

შემდეგ მომხსენებელი ლაპარაკობს მეცხოველეობის განვითარების პერსპექტივებზე და აღნიშნავს, რომ რაიონი ვერ ასრულებს მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობის გეგმას. არ სრულდება მეცხოველეობის პროდუქტიულობის გეგმებიც.

მომხსენებელმა გააკრიტიკა პარტიის რაიკომისა და რაისაბჭოს აღმასკომის მუშაკები, რომლებიც ქმედითს დახმარებას ვერ უწევენ რაიონის კოლმეურნეებს მეცხოველეობის განვითარების გეგმის შესრულების საქმეში.

გადავიდა რა პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზაციული მუშაობის საკითხებზე, მომხსენებელი პირველ რიგში შეეხო პარტიაში მიღების მდგომარეობას. რაიონის პარტიული ორგანიზაციები სუსტად იზრდებიან. მარტო ის ფაქტი, რომ რაიონის 88 პირველადი პარტიული ორგანიზაცია საანგარიშო პერიოდში სრულებით არ გაზრდილა, ადასტურებს იმას, რომ ამ ორგანიზაციებში პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული.

რაიონის მთელ რიგ პარტიულ ორგანიზაციებში პარტიული მუშაობა დაბალ დონეზე რომ დგას, ეს ცხადყვეს კონფერენციაზე გამოსულმა პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნებმა ნ. ყენიამ და ბ. ლაღიევმა. ილაპარაკეს რა კოლმეურნეობათა სამეურნეო საქმიანობაზე, მათ არაფერი თქვეს იმის შესახებ, თუ როგორ არის მათთან მოწყობილი პოლიტიკური და ორგანიზაციული მუშაობა, რა დახმარებას უწევს მათ პარტიის რაიონული კომიტეტი.

როგორც მოხსენებიდან გამოირკვა, რაიონის კომკავშირული ორგანიზაცია სუსტად მუშაობს. იგი არ იზრდება მოწინავე ახალგაზრდობით. მთელ რიგ ორგანიზაციებში დაბალ იდეურ დონეზე იწყობა კომკავშირული კრებები. ეს იმის შედეგია, რომ პარტიის რაიონული კომიტეტი, პირველადი პარტიული ორგანიზაციები ჯერ კიდევ სუსტად ეხმარებიან კომკავშირს.

კომკავშირის გარეუბნის რაიკომის მდივანმა ამხ. შ. სიბაშვილმა გააკრიტიკა ზოგიერთი კოლმეურნეობის თავმჯდომარე და საკოლმეურნეო პირველადი პარტიული ორგანიზაცია კომკავშირული ორგანიზაციებისადმი სუსტი დახმარებისათვის, მაგრამ ძალიან ცოტა თქვა იმის შესახებ, თუ რა მუშაობას ეწევა კომკავშირის რაიკომი იმ კომკავშირელებთან, რომლებიც აქტიურად არ მონაწილეობენ საკოლმეურნეო შრომაში.

თელეთის მტს-ის დირექტორმა გ. მორჩილაძემ გააკრიტიკა რაიკომის ბიურო საკითხების არაოპერატიულად განხილვისათვის. მაგალითად, რაიონში ნელი ტემპით მიმდინარეობს ანეულის ხვნა და ნაწვერალის აოშვა. ამაზე რაიკომის ბიურომ ძალიან დიდი დაგვიანებით იმსჯელა. ორატორმა ილაპარაკა რაისაბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის განყოფილების ცუდ მუშაობაზე, მაგრამ ზერელედ შეეხო იმ მტს-ის მუშაობას, რომლის დირექტორიც თვითონ არის.

სასოფლო საბჭოს აღმასკომის მუშაობის გარდაქმნის აუცილებლობაზე ილაპარაკა დიღმის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ლ. გაბისონიამ. მანვე დააყენა ბულაჩაურის წყალით სოფელ დიღმის მომარაგების საკითხიც.

კამათში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე ს. მამუკაშვილმა, ა. მიგრიაულმა, ნ. ჯალაღანიამ, ვ. ვარაზაშვილმა, ა. კორახაშვილმა, ლ. იოსელიანმა და ი. წირაქვაძემ.

კონფერენციამ რაიონული კომიტეტის მუშაობა დამაკმაყოფილებლად ცნო და დასახა სათანადო ღონისძიებანი.

* * *

კონფერენციის დელეგატებმა დიდი ყურადღებით განიხილეს პარტიის XIX ყრილობის დირექტივების პროექტი სსრ კავშირის განვითარების 1951-1955 წლების მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესახებ.

თავის გამოსვლებში თესლის ხარისხის სახელმწიფო სარაიონო ინსპექციის უფროსმა გ. დათუაშვილმა, სტალინის სახელობის სამგორწყალმშენის სამმართველოს უფროსმა ა. გაბუნიამ, ნორიოს კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ე. დანელიამ, დიღმის მტს-ის დირექტორმა მ. დოლიძემ და სხვებმა მოკლედ დაახასიათეს მეხუთე ხუთწლიანი გეგმის პროექტის ძირითადი თავისებურებანი და აღნიშნეს, რომ ეს არის ახალი ნაბიჯი კომუნიზმისაკენ მიმავალ გზაზე. ორატორებმა მოუთხრეს კონფერენციის დელეგატებს, თუ რა უდიდესი შრომითი აღმავლობა გამოიწვია ცნობამ ყრილობის მოწვევის შესახებ და როგორ დაიწყო ადგილზე ახალი ხუთწლიანი გეგმის პროექტის შესწავლა.

პარტიულმა კონფერენციამ ერთსულოვნად მოიწონა მეხუთე ხუთწლიანი გეგმის პროექტი.

განხილულ იქნა პარტიის შეცვლილი წესდების ტექსტის პროექტი.

სიტყვები წარმოთქვეს რაიკომის ინსტრუქტორ-პროპაგანდისტმა ა. კუპრაძემ, სოლანლუღის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივანმა პ. ეფრემიძემ, კოჯრის საბავშვო სახლის პარტიული ორგანიზაციის მდივანმა გ. მამალაძემ, რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგემ ა. სვანიძემ, მარტყოფის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ შ. კანდელაკმა, ნორიოს სასოფლო საბჭოს თავმჯდომარემ ი. ზოშიაშვილმა.

კონფერენციამ ერთსულოვნად მოიწონა პარტიის წესდების შეცვლილი ტექსტის პროექტი და აღნიშნა მისი უდიდესი მნიშვნელობა პარტიული ორგანიზაციების მუშაობაში. კონფერენციამ დაავალა პარტიულ ორგანიზაციებს მოაწყონ წესდების შეცვლილი ტექსტის პროექტის ფართოდ განხილვა-შესწავლა.

კონფერენციამ აირჩია რაიკომისა და სარევიზიო კომისიის ახალი შემადგენლობა, აგრეთვე თბილისის საქალაქო პარტიული კონფერენციის დელეგატები.

კონფერენციის დელეგატებმა უდიდესი აღფრთოვანებით მიიღეს მისალმება ხალხთა ბრძენი ბელადისა და მასწავლებლის დიდი სტალინისადმი.

მისალმება გაეგზავნა დიდი სტალინის უახლოეს თანამებრძოლს ამხ. ლ. პ. ბერიას.

* * *

შედგა ახლადარჩეული რაიკომის პლენუმი. პლენუმმა რაიკომის პირველ მდივნად აირჩია ამხ. დ. გელაშვილი, მეორე მდივნად — ამხ. ი. მირიანაშვილი, მდივნად — ამხ. ვ. გიორგობიანი.

სწავლობენ ისტორიულ დოკუმენტებს

ჭიათურა. (საკ. კორ.). მარგანეცის ქალაქში ფართოდ გაჩაღდა მუშაობა პარტიის XIX ყრილობის მასალების შესასწავლად. საქალაქო კომიტეტმა მოიწვია პარტიული ორგანიზაციების მდივნებისა და პროპაგანდისტთა თათბირი, რომელიც მიეძღვნა ყრილობის მასალების შესწავლის საკითხს.

ყველა მაღაროსა და მსხვილ საწარმო-დაწესებულებაში მოეწყო აგიტკოლექტივების მეცადინეობა, სადაც აგიტატორებს განუმარტეს, როგორ უნდა მოაწყონ ისტორიული დოკუმენტების გაცნობა-შესწავლა.

ყრილობის მასალებს შინაარსიანად განუმარტავენ მასებს აგიტატორები ამხ. ზ. ჩხეიძე, ბ. სამხარაძე, ა. კაპანაძე, ბ. კუპატაძე, კ. ციხისელი, შ. გაფრინდაშვილი, ა. ხვედელიძე და სხვები. ისინი რაზმავენ მშრომელებს მეტი მარგანეცის ამოღებისათვის საბრძოლველად.

პარტიის შეცვლილი წესდების ტექსტის, ამხ. ნ. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისებისა და მეხუთე ხუთწლიანი გეგმის დირექტივების პროექტის ღრმად შესწავლისათვის ქალაქში შეიქმნა 61 წრე, რომლებშიც მეცადინეობს 1.900-მდე კომუნისტი. საუბრებს მაღალ იდეურ-პოლიტიკურ დონეზე აწყობენ პროპაგანდისტები ამხ. ვ. სარალიძე, შ. კოპალეიშვილი, ა. ცინაძე, ი. წიქარიშვილი და სხვები.

მიმდინარეობს პარტიული კრებები, რომელზეც გულდასმით განიხილავენ მშობლიური კომუნისტური პარტიის XIX ყრილობის მასალებს. მაღაროებში დღითიდღე ძლიერდება პოლიტიკური და შრომითი აღმავლობა.

საქართველოს მშრომელთა პატრიოტული მოვალეობაა ახალი გამარჯვებებით შეხვდნენ ლენინ-სტალინის პარტიის XIX ყრილობას

კოლმეურნე კომუნისტებს შემოაქვთ თავიანთი წინადადებანი

ამ დღეებში გაიმართა თბილისის გარეუბნის რაიონის სოფელ დიდი ლილოს სტალინის სახელობის კოლმეურნეობის პირველადი პარტიული ორგანიზაციის კრება. კრებაზე პარტიის თბილისის გარეუბნის რაიკომის წარმომადგენელმა ამხ. მ. დელბაშიშვილმა კომუნისტებს გააცნო საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს გადაწყვეტილება, რომელიც ყველა საოლქო კომიტეტს, სამხარეო კომიტეტსა და მოკავშირე რესპუბლიკათა კომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებს ავალებს ფართოდ გააჩაღონ ყრილობის მოწვევასთან დაკავშირებით გამოქვეყნებული დოკუმენტების განხილვა. ამხ. დელბაშიშვილმა მოუწოდა კომუნისტებს აქტიური მონაწილეობა მიიღონ მშობლიური კომუნისტური პარტიის XIX ყრილობის ისტორიული დოკუმენტების განხილვაში.

კომუნიზმის დიად მშენებლობათა ხუთწლედი

კრებაზე სიტყვით პირველი გამოვიდა კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. კ. გიორგაძე. მან ილაპარაკა იმის შესახებ, თუ რა უდიდეს პერსპექტივებს სახავს ახალი ხუთწლიანი გეგმა ჩვენი სამშობლოს ძლიერების შემდგომი ზრდისათვის, საბჭოთა ხალხის მატერიალური და კულტურული დონის განუხრელი ამაღლებისათვის.

ამხ. გიორგაძემ მოიწონა ახალი ხუთწლიანი გეგმის პროექტი და თქვა: ჩვენი კოლმეურნეობის მოსავლიანობის შემდგომი ზრდისათვის წინადადება შემომაქვს გამოინახოს შესაძლებლობანი სათესი ფართობის გასადიდებლად. ძეძვიანისა და ყუთერგინას მიდამოებში შესაძლებელია ჯაგნარისაგან გაიწმინდოს და ათვისებულ იქნას 200 ჰექტარამდე ახალი ფართობი, რომელზეც გაშენდება ვენახი და ხეხილის ბაღი. ამასთან მიწის ამ ახალი ფართობის გამოყენებისათვის საჭირო იქნება, — განაგრძო მან, — შეიქმნას პირობები მისი წყალით უზრუნველყოფისათვის. ამ მიზნით წინადადება შემომაქვს სამგორის სარწყავი სისტემის მესამე ზონის არხი, რომელიც სოფელ დიდ ლილოს სამასიოდე მეტრის დაშორებით ჩაუვლის, სოფლის დასაწყისთან იქნას გადმოტანილი. ეს შესაძლებლობას მოგვცემს სარწყავი წყალი თვითდინებით მივიყვანოთ ახლადათვისებულ ფართობამდე.

სიტყვას იღებს მესაქონლეობის ფერმის გამგე ამხ. დ. ბიჭოშვილი. იგი ლაპარაკობს იმაზე, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი სახალხო მეურნეობისათვის საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარებას, მისი პროდუქტიულობის შემდგომ ზრდას. ჩვენს

სოფელ დიდი ლილოს სტალინის სახელობის კოლმეურნეობის კომუნისტთა კრებაზე

★

კოლმეურნეობას, — თქვა ამხ. ბიჭოშვილმა, — ცოტა აქვს საძოვრები პირუტყვისათვის. მას წინადადება შემოაქვს ახალ ხუთწლედში ჩვენს პირობებში განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს პირუტყვის ბაგური მოვლა-შენახვის სისტემის ფართოდ დანერგვას. ამასთან ამხ. ბიჭოშვილს საჭიროდ მიაჩნია სასილოსე კოშკებისა და პირუტყვის ხელოვნური საკვების საწარმოთა მშენებლობის გაფართოება.

მებოსტნეობის ბრიგადის ბრიგადირმა ამხ. ს. თინაშვილმა კრების მონაწილეთა ყურადღება გაამახვილა კოლმეურნეობაში ბოსტნეული კულტურების შემდგომი განვითარების საკითხებზე. თავისი ბრიგადის სახელით მან პირობა დადო უზრუნველყოს ბოსტნეული კულტურების უხვი მოსავლის მიღება.

მემინდვრეობის ბრიგადირმა ამხ. გ. გაბათაშვილმა განაცხადა: — მე მთლიანად ვიწონებ პარტიის XIX ყრილობის დირექტივების პროექტს ახალი ხუთწლიანი გეგმის შესახებ და ჩვენი ბრიგადის სახელით ვკისრულობ მომავალ წელს თვითეულ ჰექტარზე მოვიყვანოთ 15 ცენტნერი მარცვლეული, ხოლო შემდგომ წლებში ეს რაოდენობა დიდათ გავზარდოთ.

პარტიული კრება ერთსულოვნად იღებს გადაწყვეტილებას, რომლითაც იწონებს პარტიის XIX ყრილობის დირექტივების პროექტს ახალი ხუთწლედის შესახებ.

პარტიის შეცვლილი წესდების ტექსტის შესახებ

კომუნისტებმა დიდი აქტივობით განიხილეს აგრეთვე პარტიის შეცვლილი წესდების ტექსტის პროექტი. თავის გამოსვლებში ისინი ერთხმად იწონებდნენ წესდების შეცვლილ ტექსტს და შემოჰქონდათ თავიანთი შენიშვნები და წინადადებანი.

სიტყვით პირველი გამოვიდა პარტბიუროს მდივანი ამხ. გ. გაბათაშვილი. იგი ლაპარაკობს, რომ პარტიის შეცვლილი წესდების პროექტის ფართოდ და საფუძვლიანად განხილვა-შესწავლა თვითეული პარტიული ორგანიზაციის, თვითეული კომუნისტის უპირველესი მოვალეობაა.

ამხ. გაბათაშვილს წინადადება შეაქვს წესდების ტექსტში დამატებით პუნქტად შეტანილ იქნას პირველადი პარტიული ორგანიზაციის კრებაზე საკითხის გადაწყვეტისას ხმის მიცემის წესი და ჩამოყალიბდეს იგი შემდეგი რედაქციით: პირველადი პარტიული ორგანიზაციის კრებაზე საკითხის გადაწყვეტა ხდება ხმის უმრავლესობით.

კომუნისტმა კ. გიორგაძემ აღნიშნა, რომ პარტიის შეცვლილი წესდების ტექსტის პროექტში ნათლად არის განსაზღვრული პარტიის თვითეული წევრის მოვალეობა, რომ მან ყოველი ღონით უნდა დაიცვას პარტიის ერთიანობა, იყოს აქტიური მებრძოლი პარტიულ გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის, მაგალითის იძლეოდეს შრომაში, ყოველდღიურად განამტკიცებდეს კავშირს მასებთან. მე, — ამბობს ამხ. გიორგაძე, — ვიწონებ პარტიის შეცვლილი წესდების ტექსტის პროექტს, ამასთან წინადადება შემომაქვს, რომ პარტიის შეცვლილი წესდების ტექსტის პროექტის იმ თავში, სადაც ლაპარაკია პარტიის ფულადი სახსრების შესახებ, ერთ-ერთ პუნქტად გათვალისწინებულ იქნას კოლმეურნეობაში მომუშავე კომუნისტისათვის საწევრო შესატანის ოდენობის ზუსტი განსაზღვრა.

მერგოლურმა ამხ. თამარ თინაშვილმა აღნიშნა, რომ თვითეული კომუნისტი გულმართალი და პატიოსანი უნდა იყოს პარტიის წინაშე, იცავდეს პარტიულ და სახელმწიფო საიდუმლოებას, იჩენდეს პოლიტიკურ სიფხიზლეს, იყოს სამაგალითო შრომაში. ჩვენს პარტიულ ორგანიზაციაში, — განაგრძობს იგი,— ჯერ კიდევ არის კომუნისტების მიერ საკოლმეურნეო შრომისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულების ფაქტები. ასეთი მოვლენების წინააღმდეგ გადამჭრელი ზომები უნდა მივიღოთ.

დასასრულ ამხ. თინაშვილმა თავისი რგოლის სახელით პირობა დადო, რომ ენერგიული შრომით გადაჭარბებით შეასრულებს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა გეგმებს, ხელს შეუწყობს ჩვენი სამშობლოს ძლიერების შემდგომ განმტკიცებას.

პარტიის შეცვლილი წესდების ტექსტის პროექტის განხილვის შემდეგ პარტიულმა კრებამ მიიღო გადაწყვეტილება, რომელშიც ნათქვამია: სოფელ დიდი ლილოს სტალინის სახელობის კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაციის კრება, რომელმაც განიხილა პარტიის შეცვლილი წესდების ტექსტის პროექტი, აღნიშნავს, რომ პარტიის შეცვლილი წესდება დიდმნიშვნელოვანი მოვლენაა მშობლიური ბოლშევიკური პარტიის ცხოვრებაში.

პარტიულმა კრებამ ერთსულოვნად მოიწონა პარტიის შეცვლილი წესდების პროექტი და პარტბიუროს დაავალა ფართოდ მოაწყოს კომუნისტთა და კოლმეურნეობის მშრომელთა მიერ საკავშირო კ. პ. (ბ) XIX ყრილობის მასალების შესწავლა.

წალენჯიხელებმა უნდა დარაზმონ ძალები ჩაის კრეფაში ჩამორჩენის გამოსასწორებლად

მოწინავეთა გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ წალენჯიხის რაიონს ყველა საშუალება აქვს წელს სოციალისტურ მრეწველობას მისცეს შარშანდელზე ბევრად მეტი ჩაის ნედლეული. რაიონის 22 კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის მუშაკებისათვის ახლა არ არსებობს იმაზე უფრო საპასუხისმგებლო ამოცანა, ვიდრე კრეფის გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულება.

რაიონის მშრომელებში დიდი სიხარული გამოიწვია ცნობამ საკავშირო კ. პ. (ბ) XIX ყრილობის მოწვევის შესახებ. ფართოვდება პარტიის XIX ყრილობის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრება. მოწინავე მეჩაიეები იბრძვიან იმისათვის, რომ მთლიანად გამოიყენონ თავიანთი საწარმოო შესაძლებლობანი, პარტიის XIX ყრილობის გახსნა აღნიშნონ ახალი შრომითი წარმატებებით. ასე, მაგალითად, ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირმა მ. ფიფიამ კარგა ხანია უზრუნველყო წლიური გეგმით გათვალისწინებული 43 ტონა ჩაის ფოთლის მოკრეფა და ჩაბარება. ბრიგადის წევრები შრომობენ, რომ გეგმის გადამეტებით მოკრიფონ სულ ცოტა 15 ტონა ფოთოლი.

ჩაის კრეფაში მოწინავეთა რიგებში არიან აგრეთვე სოფელ ფახულანის სტალინის სახელობის, სოფელ საჩინოს ტელმანის სახელობის, წალენჯიხის ბერიას სახელობის, სოფელ მიქავას მიქოიანის სახელობის, სოფელ ჭალის კიროვის სახელობის კოლმეურნეობები.

წალენჯიხის საბჭოთა მეურნეობის მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივი (დირექტორი ამხ. გ. შეროზია) ვადამდე ასრულებს წლიურ გეგმას. შეჯიბრებაში დაწინაურდა მეხუთე აგროგანყოფილება, რომელსაც ამხ. ა. გულორდავა ხელმძღვანელობს. აქ ჩაის კრეფის ოთხი თვის დავალება კარგა ხანია შესრულებულია.

მაგრამ მოწინავეთა გამოცდილება რაიონში ბევრგან სათანადოდ არ არის დანერგილი. ამიტომ ნედლეულის დამზადების მხრივ არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა. მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელ დროს წვიმაც მოვიდა და ფოთოლი უხვად არის შემოსული, კრეფის ტემპი მაინც დაბალია. კოლმეურნეობათა დიდ უმრავლესობაში ჯერ კიდევ ვერ მიაღწიეს იმას, რომ მთლიანად გამოიყენონ შრომითი რესურსები, ურიგდებიან დანაკარგებს და გეგმის შეუსრულებლობას, არ იღებენ გადამწყვეტ ზომებს იმათ წინააღმდეგ, ვინც არღვევს შრომის დისციპლინას, უშვებს ნედლეულის დანაკარგს. ამის შედეგია, რომ რაიონში მთლიანად არ სრულდება კრეფის დღიური დავალება. გეგმით 20 აგვისტოდან 10 სექტემბრამდე ყოველდღიურად 52.910 კილოგრამი ჩაი უნდა იკრიფებოდეს, ფაქტიურად პირველ დღეებში დავალების შესრულებას ოც-ოც ტონას აკლებდნენ, შემდეგ შედარებით მუშაობა გააძლიერეს, მაგრამ ახლაც დღეში დანაკლისი აღწევს 10-12 ტონას და ზოგჯერ მეტსაც.

მრავალ კოლმეურნეობაში კრეფის დღიური დავალება ხშირად სანახევროდ, ზოგჯერ კი ერთი მესამედითაც არ სრულდება, მაგრამ აქედან სათანადო დასკვნას არ აკეთებენ რაიონის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები. ამიტომ გასაკვირველი არ არის, რომ აგვისტოს რაიონული გეგმა თითქმის სანახევროდაც არ არის განაღდებული. სოფელ ობუჯის ორ კოლმეურნეობაში თვიური გეგმის შესრულება 14-16 პროცენტსაც ვერ აღწევს, ხოლო სხვა სოფლების 6 კოლმეურნეობაში დაახლოებით 25-32 პროცენტს შეადგენს.

საქმე ბევრად არის დამოკიდებული ხელმძღვანელობაზე. სადაც ადგილობრივ რეზერვებს კარგად იყენებენ, იქ წარმატებასაც აღწევენ. მუშაობის ერთსა და იმავე პირობებში, მეზობელ კოლმეურნეობებში მუშაობის შედეგები სხვადასხვაა. მაგალითად, სოფელ ფახულანის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში წლიური გეგმის შესრულება 80 პროცენტს აღწევს, იმავე სოფლის ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში კი 60-ს არ აღემატება.

უდარდელობის შედეგად ვხვდებით ფოთლის გაუხეშებას, დანაკარგს. სოფელ ობუჯის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობას 80 ჰექტარი ჩაის პლანტაცია აქვს. კოლმეურნეობა ჩამორჩა. მთელ რიგ ნაკვეთებზე ფოთოლი მოუკრეფავია. განსაკუთრებით დიდი დანაკარგია ვ. შენგელიას ბრიგადაში. ნაზი და ყრუ დუყები დროზე არ იკრიფება ი. გიგიბერიას და სხვა ბრიგადებშიც. კოლმეურნეთა ერთი ნაწილი ჩაბმული არ არის საკოლმეურნეო შრომაში ან დაგვიანებით გადის სამუშაოზე და რამდენიმე კილოგრამის მოკრეფით კმაყოფილდება. 16 კოლმეურნეს წელს მეორე პერიოდში შრომადღეების სავალდებულო მინიმუმის თითქმის ნახევარიც არ გამოუმუშავებია. უპასუხისმგებლობის შედეგია ის, რომ 27 აგვისტოს კოლმეურნეობაში გეგმით გათვალისწინებული 1.500 კილოგრამის ნაცვლად მხოლოდ 600 კილოგრამი ჩაი მოკრიფეს. კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. ლ. ხარჩილავა ამ არანორმალური მდგომარეობის აღსაკვეთად ქმედითს ზომებს არ იღებს.

მსგავსი მდგომარეობაა სოფელ ობუჯის კოლმეურნეობა „კოლხიდაში“ (თავმჯდომარე ვ. მებონია). ჩამორჩა წლიური გეგმის შესრულება. კრეფის დღიური დავალება ბევრ შემთხვევაში ერთი მესამედითაც ვერ სრულდება. ასეთი ფაქტები სხვა კოლმეურნეობებშიც არის.

რაიონში არიან ისეთი კოლმეურნეობებიც, რომლებიც მართალია ჩამორჩენილი არ არიან, მაგრამ მთელ შესაძლებლობას არ იყენებენ. მაგალითად, შესაძლებლობათა მთლიანად გამოყენების მხრივ არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში. აქ სტახანოველები (სულ 32 კოლმეურნე) დღეში თვითეული 45-50 კილოგრამ ჩაის კრეფს, 80 კოლმეურნე კი საშუალოდ თვითეული 15-18 კილოგრამს. 105 შრომისუნარიანი კოლმეურნიდან სამუშაოს ყოველდღიურად აკლდება საშუალოდ 17. აგვისტოს პირველი რიცხვებიდან 25-მდე აქ ყოველდღიურად 20-25 კოლმეურნე აგვიანებდა კრეფაზე გასვლას, რაც კოლმეურნეობას დღეში საშუალოდ 300 კილოგრამ პირველი ხარისხის ჩაის ფოთოლს აკლებდა. უდისციპლინობის შედეგად, მაგალითად, კოლმეურნე მ. ჭანტურიას წელს მეორე პერიოდში მხოლოდ 21 შრომადღე აქვს გამომუშავებული.

რაიონში კრეფის გეგმების შეუსრულებლობას ისიც იწვევს, რომ კოლმეურნეობათა დიდ ნაწილში თავის დროზე არ მუშავდება პლანტაციები. წელს ერთხელაც არ გათოხნილა 876 ჰექტარი. სანახევროდაც არ შესრულებულა მეორე თოხნისა და კულტივაციის დავალება. ბევრგან არ შეუსრულებიათ არათუ აზოტოვანი სასუქის, არამედ ნაკელის შეტანის გეგმაც. 22 კოლმეურნეობიდან ნაკელი პლანტაციებში მხოლოდ ერთმა კოლმეურნეობამ შეიტანა. რატომღაც აგროწესების დარღვევებს, უპასუხისმგებლობას, ჩამორჩენას ადვილად ურიგდება რაისაბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის განყოფილება (გამგე ამხ. ნ. სალაია).

წალენჯიხელმა კოლმეურნეებმა მთლიანად უნდა გამოიყენონ ხელსაყრელი მომენტი — ფოთლის შემოსვლა და გადაჭრით გააძლიერონ კრეფა, აღკვეთონ ნედლეულის დანაკარგი. შექმნილი მდგომარეობიდან სათანადო დასკვნა, უწინარეს ყოვლისა, პარტიის რაიონულმა კომიტეტმა (მდივანი ამხ. გ. კვარაცხელია) და რაისაბჭოს აღმასკომმა (თავმჯდომარე ამხ. ი. ზარანდია) უნდა გააკეთონ. წალენჯიხის რაიონს შეუძლია კარგად მოწესრიგებული, ბოლშევიკური მუშაობით ჩაის კრეფის გეგმა წარმატებით შეასრულოს.

ტ. თოდრაძე,
„კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტი.

საშემოდგომო ხორბლის მოსავლიანობის გადიდებისათვის

ა. ბედიაშვილი,
საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრი

დიდი და პასუხსაგები ამოცანებია დასახული სოფლის მეურნეობის მუშაკთა წინაშე. პარტიის XIX ყრილობის დირექტივებში სსრ კავშირის განვითარების 1951-1955 წლების მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესახებ აღნიშნულია, რომ „სოფლის მეურნეობის დარგში მთავარ ამოცანად კვლავ რჩება ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსავლიანობის ამაღლება, პირუტყვის საზოგადოებრივი სულადობის შემდგომი გადიდება და ამავე დროს მისი პროდუქტიულობის მნიშვნელოვანი ზრდა, მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის საერთო და სასაქონლო პროდუქციის გადიდება სოფლის მეურნეობაში მოწინავე ტექნიკისა და აგროკულტურის დანერგვის საფუძველზე კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობის შემდგომი განმტკიცებისა და განვითარების, საბჭოთა მეურნეობებისა და მტს-ების მუშაობის გაუმჯობესების გზით“.

ახალ ხუთწლედში გათვალისწინებულია მარცვლეული კულტურების მოსავლიანობის მკვეთრი ამაღლება. „გადიდდეს,—ნათქვამია ყრილობის დირექტივების პროექტში, — მარცვლეული კულტურების მოსავლიანობა ჰექტარზე... ამიერკავკასიის რაიონებში 20-22 ცენტნერამდე და სარწყავ მიწებზე 30-34 ცენტნერამდე ჰექტარზე“.

პარტიის, საბჭოთა მთავრობის, დიდი სტალინის მიერ ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მუშაკთა წინაშე დასახულია მთავარი ამოცანა — საქართველოს საკუთარი პურით უზრუნველყოფის ამოცანა.

მარცვლეულის პრობლემის წარმატებით გადაჭრა, საკუთარი წარმოების პურით მოსახლეობის უზრუნველყოფა საქართველოს მშრომელთა უმნიშვნელოვანესი ამოცანაა.

უნდა მივაღწიოთ ყოველწლიურად ახალი ფართობების ათვისებას, მოსავლიანობის ამაღლებას. 1953 წლის უხვი მოსავლის საკითხი ახლა, ძირითადად შემოდგომაზე წყდება. საშემოდგომო თესვის სანიმუშოდ მომზადებით და ჩატარებით მტკიცე საფუძველი უნდა ჩავუყაროთ მომავალი წლის უხვ მოსავალს. ჩვენ საშემოდგომო ხორბლის მოსავლიანობის გადიდების ყველა საშუალება მოგვეპოვება. საჭიროა ისინი ყოველმხრივ გამოვიყენოთ.

პურეულის აღება წელს საქართველოში უფრო ორგანიზებულად მიმდინარეობს, ვიდრე შარშან. დაბლობ რაიონებში მკა მთავრდება.

პარტიული ორგანიზაციების მეთაურობით, რომლებიც ასწორებენ საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ძველი ხელმძღვანელობის მიერ დაშვებულ შეცდომებს და მთელ თავის მუშაობას წარმართავენ ახალი ამოცანების მოთხოვნათა შესაბამისად, სოფლის მეურნეობის მუშაკებმა ხორბლის მოსავლიანობის გადიდების საქმეში წელს თვალსაჩინო წარმატებები მოიპოვეს. კოლმეურნეობები დიდ ფართობებზე საშემოდგომო და საგაზაფხულო პურეულის უფრო მაღალ მოსავალს იღებენ, ვიდრე გასულ წლებში, ვადამდე ასრულებენ თავიანთ ვალდებულებებს სახელმწიფოს წინაშე. მაგალითად, წითელწყაროს რაიონის სოფელ არხილოსკალოს კიროვის სახელობის კოლმეურნეობამ 2.503 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 21,2 ცენტნერი საშემოდგომო ხორბალი მიიღო. ამ კოლმეურნეობის ბრიგადირმა გიორგი ბუჩუკურმა 412 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 26 ცენტნერი მოსავალი მოიყვანა, ბრიგადირმა იოსებ წიკლაურმა 440 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე — 23 ცენტნერი, ხოლო ბრიგადირმა სიმონ ბუჩუკურმა 542 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 23,7 ცენტნერი მოსავალი მიიღო.

ხორბლის მაღალ მოსავალს იღებენ იმ კოლმეურნეობებში, სადაც გასულ წელს თესვა ჩატარდა დროულად, კარგად მომზადებულ ნიადაგებზე და საუკეთესო თესლით. მაგრამ ზოგან ივიწყებენ მოსავლიანობის გადიდების ამ აუცილებელ ღონისძიებებს და შეუწყნარებლად აგვიანებენ საშემოდგომო თესვისათვის მზადებას.

თბილისის და სამხრეთ ოსეთის ოლქების ბევრ რაიონში კარგა ხანია მეტი წილი ფართობების მოსავალი აღებულია, თესვის ვადაც მოახლოვდა, მაგრამ ნიადაგის მომზადება ნელი ტემპით მიმდინარეობს. ხვნაში განსაკუთრებით ჩამორჩნენ კაჭრეთის, თეთრი წყაროს, კასპის, გორის, საგარეჯოს, ახალციხის, მარნეულის და სხვა რაიონების კოლმეურნეობები. ზოგიერთი კოლმეურნეობისა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების ხელმძღვანელები ხვნაში ჩამორჩენას იმით ხსნიან, რომ პურეულის მოსავლის აღება წელს უამინდობის გამო შარშანდელზე გვიან დაიწყო, ამიტომ ხვნის ვადებიც გადაიდოო. ასეთი მსჯელობა ყოვლად მიუღებელი და უმართებულოა. მოსავლის აღების გვიან დაწყებას არ შეუძლია გადადოს თესვის ვადები. სასოფლო-სამეურნეო ორგანოების მუშაკები ვალდებული არიან მეტი ორგანიზებულობა გამოიჩინონ და დაუყოვნებლივ გამოასწორონ ჩამორჩენა.

თესვის ვადები მოახლოებულია. მთაგორიანი, მაღლობი რაიონების კოლმეურნეობებში ხორბლის თესვა მალე გაჩაღდება. ამოცანა ის არის, რომ სწორად შევუფარდოთ სხვადასხვა სახის საშემოდგომო სამუშაოები ერთმანეთს, არ დავუშვათ სამუშაოთა მორიგეობა, არამედ კომპლექსურად ჩავატაროთ ისინი, ვთესოთ მოკლე ვადებში და მაღალხარისხოვნად.

თესვის სახელმწიფო გეგმის შესასრულებლად გამოყენებულ უნდა იქნას სოფლის მეურნეობის ყველა საწარმოო საშუალებანი, მტს-ების მთელი ტექნიკა, აგრონომიული მეცნიერების შესანიშნავი მიღწევები და საკოლმეურნეო წარმოების უხვი მოსავლის ოსტატთა გამოცდილება. საჭიროა კოლმეურნეობებმა ამთავითვე სერიოზული ყურადღება დაუთმონ ახალი მიწების დროულად ათვისებას.

სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს ანეულის დროულად დამუშავებას, ფართოდ იქნას გამოყენებული გასული წლის გამოცდილება და ანეულში თავის დროზე შევიტანოთ მინერალური სასუქი.

დიდი მნიშვნელობა აქვს იმ ნაკვეთების მაღალხარისხოვნად მომზადებას, რომლებზეც აღებულ იქნება სათოხნი კულტურების მოსავალი. ხორბლის წინამორბედი კულტურებიდან განთავისუფლებული ნაკვეთები დაუყოვნებლივ უნდა მოიხნას ღრმად წინმხვნელიანი გუთნებით ფარცხის თანმიყოლებით, თესვის წინ ჩატარდეს კულტივაცია და სათანადოდ მომზადდეს შემოდგომის ხორბლის დასათესავად.

წელს სახელმწიფოს მიერ საქართველოს კოლმეურნეობებისათვის ხორბლის ნათესებში შესატანად გამოყოფილია მინერალური სასუქების დიდი რაოდენობა. მინერალური სასუქები შეტანილ უნდა იქნას ნიადაგის ძირითადი ხვნის დროს. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კოლმეურნეობები დარწმუნდნენ მინერალური სასუქების დიდ ეფექტიანობაში, მთელ რიგ რაიონებში სასუქების გამოყენებას ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა. ამ საქმეს მტკიცედ უნდა მოჰკიდონ ხელი სოფლის მეურნეობის ორგანოებმა და მტს-ებმა; მათ ყოველდღიური დახმარება უნდა გაუწიონ კოლმეურნეობებს თავიანთი სპეციალისტებით მინერალური სასუქების სწორად გამოყენების საქმეში.

გასულ წელს ამ მხრივ სერიოზულ ნაკლოვანებებს ჰქონდა ადგილი. ზოგიერთი რაიონის კოლმეურნეობებში წელსაც მტს-ები საშემოდგომო ხორბლისათვის ნიადაგს ისე ხნავენ, რომ მინერალური სასუქები არ შეუტანიათ. ეს შეუწყნარებელია.

საჭიროა გვახსოვდეს, რომ თუ მინერალური სასუქები ანეულში ან ნაწვერალზე ძირითადი ხვნის დროს არ ყოფილა შეტანილი, ისინი საჭირო რაოდენობით უნდა შევიტანოთ ხნულის კულტივაციის ან თესვისწინა დამუშავების დროს.

მთელ რიგ კოლმეურნეობათა ხელმძღვანელები უყურადღებობას იჩენენ მინერალური სასუქების გაზიდვა-გამოყენების აღრიცხვის საქმეში. ბევრგან არა აქვთ იმის აღრიცხვა, თუ რამდენი და რა სახის მინერალური სასუქი როდის არის შეტანილი ამა თუ იმ ნაკვეთში. ზუსტ აღრიცხვას დიდი მნიშვნელობა აქვს მინერალური სასუქების ეფექტიანობის დადგენისათვის და მათი დოზების დაწესებისათვის.

ხორბლის მოსავლიანობის გადიდების მნიშვნელოვანი ღონისძიებაა ჯიშიანი თესლი. კოლმეურნეობებმა უნდა უზრუნველყონ ხორბლის თესვის გეგმის შესრულება დარაიონებული ჯიშის მაღალხარისხოვანი თესლით. აუცილებელია თესლი გაიწმინდოს, დახარისხდეს, გაშრეს და აყვანილ იქნას სათეს კონდიციამდე, საჭიროების შემთხვევაში მოეწყოს კოლმეურნეობათა შორის გადაცვლა. არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავუშვათ თესლის სხვა მიზნებისათვის გამოყენება. ზოგიერთ რაიონში ჯერ კიდევ ვხვდებით სათესლე ნაკვეთებიდან აღებული ჯიშიანი თესლის სასურსათო პურის ანგარიშში დამამზადებელი პუნქტისათვის ჩაბარებას. გორის რაიონის კიროვის სახელობის კოლმეურნეობამ დამზადების ფონდში ჩააბარა 20 ცენტნერი, ხოლო ამავე რაიონის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობამ 40 ცენტნერი სათესლე მარცვალი ნაცვლად სასურსათო ხორბლისა. გარდაბნის რაიონის ბერიას სახელობის კოლმეურნეობამ 220 ცენტნერი სათესლე ხორბალი შეურია სასურსათო მარცვალში და ჩააბარა „ზაგოტზერნოს“ პურის დამზადების ანგარიშში.

ხორბლის მოსავლიანობის გადიდების სერიოზული ღონისძიებაა ჯვარედინად და ვიწრომწკრივად თესვის დანერგვა. მტს-ების მუშაკები ვალდებული არიან მეტი ყურადღება მიაქციონ ამ საქმეს, კარგად მოამზადონ სათესი მანქანები და მთესავები.

არ უნდა დავუშვათ თესლის შემცირებული ნორმებით თესვა, ვინაიდან ეს იწვევს მოსავლის შემცირებას. საჭიროა თესვის ნორმები შევუფარდოთ ნაკვეთის პირობებს, თესვის ვადებს, სათესლე მასალის ხარისხს.

სარწყავ რაიონებში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს დათესვის შემდეგ მორწყვას. შეუწყნარებელია მორწყვის შეუფასებლობა ხორბლის მოსავლიანობის გადიდების საქმეში. გასულ წელს კასპის, გორის, ბოლნისის, მარნეულის, სიღნაღისა და სხვა რაიონების კოლმეურნეობებში სარწყავი ქსელი მთლიანად არ იყო გამოყენებული ხორბლის ნათესების მოსარწყავად. საჭიროა ხორბლის ნათესების მორწყვის საქმეს ოპერატიულად უხელმძღვანელონ სოფლის მეურნეობისა და წყალთა მეურნეობის ორგანოების მუშაკებმა.

სხვა აგროტექნიკურ ღონისძიებათა განხორციელებასთან ერთად მოსავლიანობის გადიდების საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს თესვის საუკეთესო აგროტექნიკურ ვადებში ჩატარებას. მოწინავე კოლმეურნეობათა გამოცდილება და საცდელი პუნქტების დაკვირვებანი მოწმობენ, რომ საშემოდგომო ხორბლის თესვის საუკეთესო ვადა საქართველოში ოქტომბერია. უფრო ადრე ვადებში უნდა დათესონ ბოგდანოვკის, წალკის, ახალქალაქის, თიანეთის, დმანისის რაიონების, სამხრეთ ოსეთის რაიონების მთიანი ზონის კოლმეურნეობებში, ხოლო ნოემბრის მეორე ნახევარში — დასავლეთ საქართველოს დაბლობი ზონის კოლმეურნეობებში.

სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების მაღალხარისხოვნად ჩატარება მოსავლის გადიდების აუცილებელი პირობაა. ჯერ კიდევ ხშირია შემთხვევები, როცა მანქანა-ტრაქტორთა სადგური ან კოლმეურნეობა რაოდენობითი ეფექტის მისაღწევად სამუშაოს ცუდად ასრულებს, ძირითად ხვნას აწარმოებს უწინმხვნელო გუთნებით, მოხვნისას ტოვებს ხარვეზებს.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მუშაკები, ისე როგორც მთელი საბჭოთა კავშირის მშრომელები, უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდნენ საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას პარტიის XIX ყრილობის მოწვევის შესახებ. საკოლმეურნეო სოფელში ფართოვდება სოციალისტური შეჯიბრება. კოლმეურნეები, საბჭოთა მეურნეობების მუშები, სოფლის მეურნეობის მექანიზატორები ყრილობის აღსანიშნავად გადიდებულ ვალდებულებებს კისრულობენ და თავდადებით შრომობენ სოციალისტური სოფლის მეურნეობის ახალი მძლავრი აღმავლობისათვის. საშემოდგომო თესვის სანიმუშოდ მომზადება და ჩატარება, ხორბლის მოსავლიანობის მკვეთრად ამაღლება ჩვენი საბრძოლო ამოცანაა. კოლმეურნე გლეხობის, სოფლის მეურნეობის მუშაკების პატრიოტიზმი და ღირსების საქმეა ახალი საწარმოო საჩუქრებით შეხვდნენ პარტიის XIX ყრილობას.

კორეის ამბები

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

ფხენიანი, 2 სექტემბერი. (საქდეს). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობამ 2 სექტემბერს გამოაცხადა:

სახალხო არმიის შენაერთები ჩინელ სახალხო მოხალისეთა ნაწილებთან ერთად განაგრძობდნენ ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლებს.

დღეს თვითმფრინავების გამანადგურებელმა მსროლელებმა მტრის 2 თვითმფრინავი ჩამოაგდეს.

კორეელი ხალხის მრისხანე პროტესტი ამერიკელთა ბოროტმოქმედების წინააღმდეგ

ფხენიანი, 2 სექტემბერი. (საქდეს). ჰაერის ამერიკელ მეკობრეთა ახალი ბოროტმოქმედებით გამოწვეული აღშფოთების ტალღა მთელ კორეას მოედო. ინტერვენტებისადმი გულისწყრომითა და სიძულვილით ლაპარაკობს ქალაქებისა და სოფლების მოსახლეობა ამერიკის თვითმფრინავთა მიერ 29 აგვისტოს ფხენიანის ბარბაროსულად დაბომბვაზე. მთელ რესპუბლიკაში ეწყობა მიტინგები და კრებები, რომლებიც მტკიცე პროტესტს აცხადებენ ამერიკელ ინტერვენტთა ბოროტმოქმედების წინააღმდეგ და ერთსულოვნად მოუწოდებენ მსოფლიოს ყველა ხალხს შეაჩერონ კორეის მშვიდობიან ქალაქებსა და სოფლებზე ამერიკის ავიაციის ბარბაროსული თავდასხმები.

ქალაქ ვონსანის მოსახლეობის მიტინგზე მიღებულ რეზოლუციაში ნათქვამია, რომ ამერიკის ავიაციის მასირებული თავდასხმები ფხენიანზე, ვონსანზე, ხამხინზე, ჩხონჯინსა და სხვა ქალაქებსა და სოფლებზე მიმართულია დასახლებული პუნქტებისა და მშვიდობიან მცხოვრებთა მოსპობისაკენ. „ჩვენ,—ნათქვამია რეზოლუციაში, — მოვითხოვთ ამერიკელ მკვლელთა ალაგმვას. ჩვენ მტკიცედ მოვითხოვთ სამართალში მიცემულ იქნან იმ საზარელ დანაშაულობათა ორგანიზატორები და შემსრულებლები, რომლებსაც კორეის მიწაწყალზე ინტერვენტები სჩადიან“.

ამერიკელი ხელისუფალნი განაგრძობენ მხეცობას კუნძულ კოჯედოზე

პეკინი, 2 სექტემბერი. (საქდეს). სინხუას სააგენტოს კორესპონდენტმა 1 სექტემბერს კესონიდან გადმოგვცა:

29 აგვისტოს კუნძულ კოჯედოზე სამხედრო ტყვეთა ბანაკში ამერიკელმა ჯარისკაცებმა დაჭრეს ჩვენი მხარის კიდევ 12 ტყვე. იმ ცნობების თანახმად, რომლებიც ამერიკელებმა ძალაუნებურად გამოაქვეყნეს, 11 აგვისტოდან მოკლულ დაჭრილ იქნა 111 კორეელი და ჩინელი ტყვე.

ეს მხეცობა სამხედრო ტყვეების მიმართ, რაც ჟენევის კონვენციის საწინააღმდეგოდ ჩაიდინეს, საშინელი დანაშაულია და საყოველთაო აღშფოთებას იწვევს. ამერიკისა და ინგლისის სააგენტოების ცნობებით, შუა თებერვლიდან აგვისტოს დამლევამდე ამერიკელებმა მოკლეს და დაჭრეს 900-ზე მეტი ტყვე. სავსებით ცხადია, რომ ეს ცნობები, რომლებიც ამერიკის ცენზურას გამოეპარა, ოდნავაც სრული არ არის. იმ სამხედრო ტყვეებისაგან მიღებული ცნობების თანახმად, რომლებიც ამერიკელებმა აიძულეს ჯაშუშობა გაეწიათ და ამ მიზნით შეგზავნეს ჩრდილოეთ კორეაში, აგრეთვე ჩვენი ტყვეების წერილების თანახმად, ამერიკელებმა ამ პერიოდის განმავლობაში მოკლეს და დაჭრეს 1.800-ზე მეტი ტყვე.

ჩინელ მოქალაქეთა დევნა იაპონიაში

ტოკიო, 3 სექტემბერი. (საქდეს). 1 სექტემბერს თოკომამში ჩანკაიშელმა ოფიცრებმა მოაწყეს იმ პროგრესულ ჩინელ მოქალაქეთა ცემა, რომლებიც ჩინურ სკოლაში სწავლის დაწყების გამო გამართულ ცერემონიაზე ჩამოვიდნენ.

იაპონიის პოლიციამ 10 ჩინელი მოქალაქე დააპატიმრა.

ჰოლანდიის ახალი მთავრობის შემადგენლობა

ჰააგა, 3 სექტემბერი. (საქდეს). 1 სექტემბერს ჰოლანდიის დედოფალმა თავისი ბრძანებულებით დაამტკიცა მინისტრთა კაბინეტი, რომელსაც დრეისი მეთაურობს. ჰოლანდიის ახალი მთავრობის შემადგენლობაში შევიდნენ: პრემიერ-მინისტრი და საერთო საკითხთა მინისტრი—დოქტორი ვილემ დრეისი („შრომის პარტია“), ვიცე-პრემიერი და სოციალურ საკითხთა მინისტრი—პროფესორი ბეილი („სახალხო კათოლიკური პარტია“), საგარეო საქმეთა მინისტრები — ბეიენი (უპარტიო) და ლუნსი („სახალხო კათოლიკური პარტია“).

ბეიენს ეწოდება პირველი საგარეო საქმეთა მინისტრი.

სამხედრო და სამხედრო-საზღვაო მინისტრი —სტაფი („ქრისტიანულ-ისტორიული პარტია“). შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტი ჯერჯერობით დაკავებული არ არის. შინაგან საქმეთა მინისტრის მოვალეობას დროებით ასრულებს ბეილი, სულ მთავრობაში 15 მინისტრია.

ჰოლანდიის პოლიტიკური პარტიები მთავრობაში ასე არიან წარმოდგენილი: „სახალხო კათოლიკურმა პარტიამ“ მიიღო 5 პორტფელი, „შრომის პარტიამ“—5, „ქრისტიანულ-ისტორიულმა პარტიამ“—2, „ანტირევოლუციურმა სახელმწიფო პარტიამ“—2, უპარტიომ—1. შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტი მიეცემა „სახალხო კათოლიკური პარტიის“ წარმომადგენელს.

რეიტერის სააგენტო ამერიკის შეერთებულ შტატებში გადასახადებით დაბეგვრის ზრდის შესახებ

ლონდონი, 2 სექტემბერი. (საქდეს). რეიტერის სააგენტოს ნიუ-იორკელი კორესპონდენტი იუწყება:

როგორც გუშინ ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნული სამრეწველო კონფერენციის საბჭომ გადმოგვცა, კორეის ომი, შეიარაღების პროგრამა და სხვა სახელმწიფო ხარჯები, რომლებსაც ამჟამად ეწევიან, ამერიკელებს თვითეულ სულ მოსახლეზე 22 პროცენტით მეტი უჯდებათ, ვიდრე მეორე მსოფლიო ომის დროს.

ჩილის პრეზიდენტის მომავალი არჩევნები

მონტევიდეო, 2 სექტემბერი. (საქდეს). 4 სექტემბერს ჩილში მოხდება პრეზიდენტის არჩევნები. პრეზიდენტის პოსტზე დასახელებულია 4 კანდიდატი. მათ შორის არის დიქტატორ ვონსალეს ვიდელას დამქაში, მმართველი რადიკალური პარტიის წარმომადგენელი პედრო ენრიკე ალფონსო, რომელსაც მხარს უჭერენ აგრეთვე ქრისტიანულ-სოციალური პარტია, ეროვნული ფალანგის პარტია, დემოკრატიული პარტიის ნაწილი და სოციალისტური პარტიის ყოფილ წევრთა მცირე ჯგუფი ბერნარდო იბანიესის მეთაურობით.

ლიბერალური პარტიის კანდიდატია არტურო მატე ლარაინი, რომელსაც მხარს უჭერენ აგრეთვე კონსერვატიული პარტია, აგრარულ-მუშათა პარტიის ნაწილი და დემოკრატიული პარტიის ნაწილი.

პრეზიდენტის პოსტზე რეაქციულ დაჯგუფებათა მესამე კანდიდატია გენერალი კარლოს იბანიეს დელ კამპო, რომელიც ეყრდნობა ეგრეთწოდებულ ეროვნულ იბანისტურ მოძრაობას, აგრარულ-ლიბერალური პარტიის ნაწილს, სახალხო-სოციალისტურ პარტიას და პარტიას „დემოკრატიკო დელ პუებლო“.

სახალხო ფრონტმა, რომელშიც შედიან კომუნისტური პარტია, ერთიანი სოციალისტური პარტია და მუშათა, ახალგაზრდობისა და ქალთა მრავალი ორგანიზაცია, ინტელიგენციის წარმომადგენლები და სხვა კანდიდატების მომხრე პარტიების ზოგიერთი ჯგუფი და წევრი, პრეზიდენტობის კანდიდატად დაასახელა სენატის ვიცე-თავმჯდომარე სალვადორ ალიენდე.

ჩილის გაზეთი „დემოკრასია“ წერს, რომ პრეზიდენტის მომავალ არჩევნებს ანტიდემოკრატიული ხასიათი ექნება. ჩილში მოქმედებს ეგრეთწოდებული „დემოკრატიის დაცვის“ კანონი, რომლის საფუძველზე აკრძალულია კომუნისტური პარტიის საქმიანობა. ბევრი პატრიოტი საპყრობილეშია ან გადასახლებულია. ჩილში დაწესებულია ცენზურა, რადიო და პრესა ჩაყენებული არიან რეაქციული კანდიდატების სამსახურში, ამასთან მოზრდილი მოსახლეობის ნახევარზე მეტი საარჩევნო უფლებებით ვერ სარგებლობს. ოფიციალური ცნობებით, რომლებიც გაზეთ „დემოკრასიაში“ გამოქვეყნდა, ჩილის მოსახლეობის საერთო რაოდენობიდან, რომელიც 6 მილიონამდე კაცს შეადგენს, საარჩევნო სიებში რეგისტრირებულია მხოლოდ 1.105.029 მოქალაქე, აქედან 776.625 მამაკაცია და 328.404 ქალი.

გაზეთი აღნიშნავს, რომ უკანასკნელ დროს რეაქციული ძალები, რომლებიც მხარს უჭერენ პედრო ენრიკე ალფონსოს და არტურო მატე ლარაინს, იმის შიშით, რომ არჩევნებში სახალხო ფრონტის კანდიდატმა არ გაიმარჯვოს, მთელ რიგ თათბირებს აწყობენ გენერალ კარლოს იბანიეს დელ კამპოს მომხრეებთან, რათა შექმნან რეაქციის ერთიანი ფრონტი და ხელისუფლებისაკენ გზა დაუხშონ ჩილის სახალხო ფრონტის კანდიდატს სალვადორ ალიენდეს. გაზეთი „დემოკრასია“ აგრეთვე აღნიშნავს, რომ პედრო ენრიკე ალფონსოს მომხრეებმა საარჩევნო კამპანიის დასაფინანსებლად დიდი ფულადი სუბსიდიები მიიღეს ამერიკის საელჩოსაგან სანტიაგოში, აგრეთვე ამერიკის მონოპოლიებისაგან „ანაკონდა კოპერ მაინინგ კომპანისა“ და „ბრანდენ კოპერისაგან“, რომლებიც ჩილის სპილენძის ნამდვილი პატრონები არიან და თავიანთ ნებას უკარნახებენ ჩილის მთავრობას.

განაჩენი მესაბოტაჟეთა, მავნებელთა და დივერსანტთა ჯგუფის საქმეზე რუმინეთში

ბუქარესტი, 2 სექტემბერი. (საქდეს). მესაბოტაჟეთა, მავნებელთა და დივერსანტთა ჯგუფის საქმეზე გამართულ პროცესზე, რომელიც მიმდინარეობს ქალაქ პოარტა ალბაში, მას შემდეგ, რაც სიტყვა წარმოთქვა სამხედრო პროკურორმა ოვიდიუ ტეოდორესკუმ, რომელმაც მოითხოვა ბრალდებულთა სასტიკი დასჯა, და გამოვიდნენ დამცველები, თავმჯდომარემ უკანასკნელი სიტყვა მისცა ბრალდებულებს. მათ დამნაშავედ ცნეს თავი სახალხო დემოკრატიის რეჟიმის წინააღმდეგ მიმართულ მტრულ საქმიანობაში.

ბუქარესტი, 2 სექტემბერი. (საქდეს). სამხედრო ტრიბუნალმა ბრალდებულთ ჯეორჯესკუ ტოპაზლეუს, ნიკიტა დუმიტრუს, აურელ როზეის, ნიკოლაე ვასილესკუს და პეტრე ჩერნესკუს მიუსაჯა სიკვდილი.

ბრალდებულთ ნიკოლაე ფრანგოპოლს და მირჩა ჩორაპჩუს მიესაჯათ სამუდამო საკატორღო სამუშაო; ოპრიშან იონესკუს, კონსტანტინე ნიცესკუს და პეტრე ვიერუს—20 წლის საკატორღო სამუშაო.

მშრომელთა მრავალი წარმომადგენელი, რომლებიც სასამართლო სხდომას დაესწრნენ, სამხედრო ტრიბუნალის განაჩენს მქუხარე ტაშით შეხვდა.

სასამართლოს განაჩენის გამოცხადების შემდეგ პოარტა ალბას ცენტრალურ მოედანზე გაიმართა მშრომელთა მრავალათასიანი მიტინგი. მიტინგის მონაწილეებმა უდიდესი ენთუზიაზმით მოიწონეს სასამართლოს განაჩენი და ვალდებულება იკისრეს უმოკლეს ვადაში მოახდინონ ხალხის მტრების მავნებლობის შედეგების ლიკვიდაცია და ვადაზე ადრე შეასრულონ სამშენებლო სამუშაოთა წლიური გეგმა.

დასავლეთ გერმანიის მილიტარიზაცია

ადენაუერისა და რიჯუეის მოლაპარაკება

ბერლინი, 2 სექტემბერი. (საქდეს). ადნ-ის სააგენტოს ბონიდან გადმოცემული ცნობით, დღეს ბონში დაიწყო ადენაუერისა და ევროპაში ჩრდილოეთ ატლანტიკის აგრესიული კავშირის შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდლის გენერალ რიჯუეის საიდუმლო მოლაპარაკება სამხედრო საერთო ხელშეკრულებისა და ევროპის „თავდაცვითი გაერთიანების“ ორგანიზაციის თაობაზე ხელშეკრულების დაუყოვნებლივი რეალიზაციის შესახებ.

დასავლეთ გერმანიის გაზეთების ცნობებით, ადენაუერისა და რიჯუეის მოლაპარაკების პროგრამა შეიცავს შემდეგ 6 მუხლს: მზადება დასავლეთ გერმანიის დაქირავებულთა 12 დივიზიის შედგენისათვის, დასავლეთ გერმანიის დივიზიების აღჭურვა ამერიკული იარაღით, ბონისათვის ფინანსური დახმარების გაწევა შესაიარაღებლად, გერმანელი დაქირავებულებისათვის ამერიკული იარაღის ხმარების სწავლება, დასავლეთ გერმანიის იმ ოლქებში სამხედრო მასალების გამოშვების განახლება, რომლებიც მდებარეობენ ეგრეთწოდებული დენთის ხაზის გადაღმა რეინის გაყოლებით, ახალი ტერიტორიის დათმობა დასავლეთ გერმანიაში სამხედრო მშენებლობისათვის.

გაზეთ „აბტ ურ-ბლატის“ (გამოდის ნიურნბერგში) ბონელმა კორესპონდენტმა გუშინ ცნობა გამოგზავნა, რომ კარგად ინფორმირებული წყაროებიდან მიღებულ ცნობათა საფუძველზე, ადენაუერსა და რიჯუეის მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი, მიუხედავად ხალხის სულ უფრო მზარდი წინააღმდეგობისა, რაც შეიძლება მალე განახორციელონ ბონისა და პარიზის სამხედრო ხელშეკრულებანი. „თუ საჭირო იქნა“ უნდა დაიდოს „გერმანია-ამერიკის პირდაპირი სამხედრო კავშირი“.

ნაცისტი დამნაშავენი დასავლეთ გერმანიის მრეწველობის სათავეში

ბერლინი, 2 სექტემბერი. (საქდეს). ადნ-ის სააგენტო, იმოწმებს რა ბიულეტენ „ბონერ ბუნდესანცაიგერის“ 30 აგვისტოს ოფიციალურ ცნობებს, იუწყება, რომ მერზებურგის ლაინე-ვერკეს ქარხნის ყოფილი გენერალური დირექტორი, სამხედრო დამნაშავე ჰენრიხ ბიუტეფიში აგვისტოს დამლევს დაინიშნა „დოიჩე გაზოლინ ა. გ.“ კონცერნის სამეთვალყურეო საბჭოში, რომლის გამგეობაც ამჟამად დასავლეთ ბერლინშია. ამით კვლავ დასტურდება, რომ ეგრეთწოდებული „ღმერთების საბჭოს“ სულ უფრო მეტი წევრი კვლავ იწყებს თავის დანაშაულებრივ საქმიანობას, რომელსაც ისინი ეწეოდნენ 1945 წლამდე „ი. გ. ფარბენინდუსტრის“ კონცერნში.

ლევერკუზენის „ბაიერ-ვერკეს“ ქარხნებში მუშაობს ჰენრიხ ჰერლაინი, მომწამლავ ნივთიერებათა ჰიტლერელი სპეციალისტი და „ი. გ. ფარბენინდუსტრის“ კონცერნის ქიმიურ გამოკვლევათა განყოფილებისა და მომწამლავ ნივთიერებათა წარმოების განვითარების ხელმძღვანელი. მისი კომპანიონი დ-რი ფრიც ტერ მეერი, რომელიც „ი. გ. ფარბენინდუსტრის“ კონცერნის მთელ საწარმოო საქმიანობას ხელმძღვანელობდა, იმ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნოდა, რომლებიც 1938 წლის შემდეგ ახორციელებდნენ ეგრეთწოდებულ „კრაუხის გეგმას“ (სინთეზური საწვავის წარმოების გეგმა, რომელიც გერინგის ოთხწლიანი გეგმის ნაწილი იყო.—რედ.) და მომწამლავ და ასაფეთქებელ ნივთიერებათა წარმოების ახალ პროგრამას. ტერ მეერს რამდენიმე ხანია უკავია ესენის „ტ. გოლდშმიდტ ა. გ.“ დიდი ქიმიური საწარმოს სამეთვალყურეო საბჭოს წევრის პოსტი.

სამხედრო დამნაშავეს კარლ ვურსტერს დღეს კვლავ ლუდვიგსჰაფენის ქარხნის „ბადიში ანილინ-უნდ სოდაფაბრიკის“ გენერალური დირექტორის თავისი ძველი პოსტი უკავია.

ჰენრიხ ბიუტეფიში აგრეთვე „ი. გ. ფარბენინდუსტრის“ კონცერნის გამგეობის წევრი და „ი. გ. ფარბენინდუსტრის“ კონცერნის აუშვიცსა და მოსბირბაუმის ქარხნების საწარმოო ხელმძღვანელი, სს-ელთა ობერშტურმბანფიურერი და ჰიმლერის „მეგობართა წრის“ წევრი იყო. 1948 წლის ივლისის დამლევს ამერიკის სამხედრო სასამართლომ ნიურნბერგში მას მასობრივი მკვლელობისათვის 6 წლის პატიმრობა მიუსაჯა.

თეირანში გაიხსნა საბჭოთა კინოფილმების ფესტივალი

თეირანი, 2 სექტემბერი. (საქდეს). გუშინ უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საკავშირო საზოგადოების თეირანის კულტურის სახლში გაიხსნა საბჭოთა კინოფილმების ფესტივალი, რომელიც სსრ კავშირთან ირანის კულტურული ურთიერთობის საზოგადოებამ მოაწყო. ფესტივალის გახსნას დაესწრო 500-მდე კაცი. მათ შორის იყვნენ ირანის პრემიერ-მინისტრის მოადგილე და ფინანსთა მინისტრი კაზემი, სენატორები, მეჯლისის დეპუტატები და ირანის ოფიციალური და საქმიანი წრეების სხვა წარმომადგენლები, აგრეთვე ჟურნალისტები, სახალხო დემოკრატიის ქვეყნების დიპლომატიური წარმომადგენლები, საზოგადოებრიობის მრავალი წარმომადგენელი, ირანის მეცნიერების, ლიტერატურის მოღვაწეები, მსახიობები, მხატვრები.

სსრ კავშირთან ირანის კულტურული ურთიერთობის საზოგადოების თავმჯდომარის სენატორ სადეგის შესავალი სიტყვის შემდეგ მოხსენება საბჭოთა კინოს განვითარების საზოგადოებრივი მნიშვნელობისა და უკანასკნელ მიღწევათა შესახებ გააკეთა ჰასან ჰაშემ, თეირანის საადის სახელობის თეატრის ცნობილმა მსახიობმა.

ფესტივალი 10 დღეს გასტანს. ნაჩვენები იქნება ფილმები: „ახალგაზრდობის სიმღერა“, „სოფლის ექიმი“, „დიდი კონცერტი“, „ჟუკოვსკი“, „ტარას შევჩენკო“ და მთელი რიგი სხვა მხატვრული და დოკუმენტალური ფილმები.

გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი“ საბჭოთა კინოფილმ „დიდი კონცერტის“ შესახებ

ნიუ-იორკი, 2 სექტემბერი. (საქდეს). გაზეთმა „ნიუ-იორკ ტაიმსმა“ მოათავსა აზრი საბჭოთა კინოფილმ „დიდი კონცერტის“ შესახებ, რომლის დემონსტრაცია 30 აგვისტოს დაიწყო ნიუ-იორკის კინოთეატრ „სტენლიში“.

„მოსფილმის“ კინოსტუდიამ, — ნათქვამია წერილში,—შექმნა დიდებული ფერადი კინოკრებული წამყვანი საბჭოთა მსახიობების მონაწილეობით, რომლებიც ასრულებენ ოპერების, ბალეტებისა და ხალხური ხელოვნების ნაწარმოებთა რჩეულ ნაწყვეტებს... ალექსანდრე პიროგოვის მიერ (რომლის ფოტოგრაფიული სურათი მოთავსებულია წერილის თვალსაჩინო ადგილას) ბოროდინის ოპერის „თავად იგორის“ ნაწყვეტების მშვენიერმა შესრულებამ, ევგენია სმოლენსკაიას, მაქსიმე მიხაილოვის გამოსვლამ მთავარ როლებში და საუცხოო „ყივჩაღთა ცეკვამ“ — ყოველივე ამან 30 აგვისტოს განაცვიფრა კინოთეატრი „სტენლი“. ასეთივე ფერადოვანი, თუმცა ნაკლებ მდიდრული, იყო ჩაიკოვსკის ბალეტის „გედის ტბის“ ნაწყვეტების და პროკოფიევის ბალეტის „რომეო და ჯულიეტას“ ზოგიერთი სცენის შესრულება, რომლებშიც მთავარ როლებს ასრულებდნენ მაია პლისეცკაია, მარინე სემიონოვა და გალინა ულანოვა. მარკ რეიზენმა უნაკლოდ შეასრულა არია გლინკას ოპერა „ივანე სუსანინიდან“. სერიოზულ ნაწარმოებთა ეს ნაწყვეტები დიდებულად იყო შევსებული მრავალი სამური ხალხური სიმღერითა და ცეკვით სოფლის თვალწარმტაცი პეიზაჟის ფონზე“.

პროტესტები დანიაში ამერიკის სამხედრო ბაზების შექმნის წინააღმდეგ

კოპენჰაგენი, 1 სექტემბერი. (საქდეს). დანიის მთავრობასა და რიგსდაგს კვლავ მოსდით პროტესტები დანიაში ამერიკის სამხედრო ბაზების შექმნისა და იქ ამერიკის ჯარების მომავალი განლაგების წინააღმდეგ.

გაზეთმა „ლანდ ოგ ფოლკმა“ გამოაქვეყნა საპროტესტო რეზოლუცია, რომელიც მიიღეს სამშენებლო მოედნის „ბუენის“ მუშებმა კოპენჰაგენში.

„ჩვენ, სამშენებლო მოედნის „ბუენის“ მუშები,—ნათქვამია რეზოლუციაში,—მტკიცე პროტესტს ვაცხადებთ ჩვენს ქვეყანაში ამერიკის ბაზების შექმნის გეგმების წინააღმდეგ. ის ფაქტი, რომ დასავლეთ გერმანიის სამხედრო ნაწილები კვლავ ჩვენს ქალაქში არიან, ყველა დანიელის აბუჩად აგდებაა. უცხოელთა ყველა ჯარი არასასურველია ჩვენთვის.

ჩვენ პროტესტს ვაცხადებთ გამალებული შეიარაღების წინააღმდეგ, რომელიც მძიმე ტვირთს გვაკისრებს და ხალხის ცხოვრების დონის დაქვეითებას ნიშნავს. ჩვენ პროტესტს ვაცხადებთ შეიარაღებისათვის შემდგომ ასიგნობათა გაღებისა და სამხედრო სამსახურის ვადის გაგრძელების წინააღმდეგ.

ჩვენ მოვითხოვთ უგუნური მილიტარიზაციის შეწყვეტას. ჩვენ მოვითხოვთ, რომ დანიის მთავრობამ ხელი შეუწყოს საერთაშორისო პრობლემების მშვიდობიან გადაჭრას მოლაპარაკების საშუალებით. ჩვენ გვსურს ყველას მიეცეს სამუშაო და აშენდეს საცხოვრებელი ბინები ზარბაზნების ნაცვლად“.

ამ რეზოლუციას შეუერთდნენ აგრეთვე სამშენებლო მოედნის „სენტრუმგორდენის“ მუშები კოპენჰაგენში.

შესანიშნავი ფურცელი ალპინიზმის ისტორიაში

წელს საქართველოს სახელოვანმა მთამსვლელებმა შესანიშნავი ფურცელი ჩაწერეს ალპინიზმის ისტორიაში. მთამსვლელთა ჯგუფმა — ალექსი ნემსიწვერიძემ, გრიგოლ გულბანმა, რამინ კვიციანმა და ლევან ახვლედიანმა მოახდინეს კავკასიონის ქედის უმაღლესი ნაწილის ტრავერსი წურუნგალიდან თეთნულდამდე, ქედ-ქედ გაიარეს უმაღლესი და უძნელესი 17 მწვერვალი და განახორციელეს ქართველ მთამსვლელთა დიდი ხნის ოცნება. საკმარისია აღინიშნოს, რომ წურუნგალიდან, რომლის სიმაღლე 4.222 მეტრს აღწევს (ზღვის დონიდან), თეთნულდამდე მათ განვლეს აილამას მწვერვალი (4.525 მეტრი), ორი უსახელო მწვერვალი აილამასა და ნამყვამს შუა, ნამყვამი (4,283 მეტრი), კიდევ 4 უსახელო მწვერვალი ნამყვამსა და შხარას შუა, ხოლო შემდეგ ე. წ. ბეზინგის კედელი. ეს «კედელი» შედგება რამდენიმე ძნელმისადგომი მწვერვალისაგან. მათგან უძნელესია — აღმოსავლეთი შხარა (5.000 მეტრი), შხარას მთავარი მწვერვალი (5.201 მეტრი), დასავლეთი შხარა (5.057 მეტრი), რუსთაველის მწვერვალი (4.960 მეტრი), აღმოსავლეთი ჯანღა (5.043 მეტრი), დასავლეთი ჯანღა (5.051 მეტრი), კატინი (4.970 მეტრი), გესტოლი და თეთნულდი (4.853 მეტრი).

ამ ტრავერსის იდეა ეკუთვნოდა შესანიშნავ ქართველ მთამსვლელს, სსრ კავშირის სპორტის დამსახურებულ ოსტატს ალექსანდრე ჯაფარიძეს. 1940 წელს მან შეძლო ამ ტრავერსის პრაქტიკულად განხორციელება წურუნგალიდან რუსთაველის მწვერვალამდე. ამასთან აღსანიშნავია, რომ ტრავერსი, რომელშიც მონაწილეობდნენ ალექსანდრა ჯაფარიძე, გაბრიელ და ბექნუ ხერგიანები და გოჯი ზურებიანი, განხორციელდა გვიან შემოდგომაზე, როდესაც მთაში უკვე ზამთარია და უამინდობამ მთამსვლელთა ეს ჯგუფი აიძულა უძნელესი უბნის გავლის შემდეგ შხარასა და რუსთაველის მწვერვალებს შუა უნაგირადან ძირს დაშვებულიყვნენ.

ალექსი ნემსიწვერიძემ — ალექსანდრე ჯაფარიძის მოწაფემ, წელს თავისი ჯგუფით წარმატებით განვლო ეს ტრავერსი. აღსანიშნავია, რომ ტრავერსი ასეთი დიდი დისტანციით ჯერ არ იცის მსოფლიო ალპინიზმის ისტორიამ. 1940 წელს ალექსანდრე ჯაფარიძის მიერ განხორციელებული და ამჟამად ალექსი ნემსიწვერიძის ჯგუფის მიერ შესრულებული ტრავერსებით საფუძველი ეყრება ალპინისტური ტრავერსების ახალ სახეობას, ეგრეთწოდებულ, დისტანციურ ტრავერსებს, რომელიც მთამსვლელებისაგან მოითხოვს არა მარტო ალპინიზმის ტექნიკის სრულყოფილად დაუფლებას, არამედ საერთო მაღალ ფიზიკურ მომზადებასა და დიდ გამძლეობას.

ნემსიწვერიძის ჯგუფმა ამ ტრავერსით დაიპყრო კავკასიონის ქედის უმაღლესი და ამავე დროს უძნელესი მონაკვეთი. ეს მონაკვეთი ორ დისტანციად იყოფა. პირველი დისტანცია წარმოადგენს რთული პროფილის გზას წურუნგალიდან ნამყვამამდე, ხოლო მეორე — მთლიანად ბეზინგის კედელს. მარტო ეს უკანასკნელი დისტანცია, ე. ი. ბეზინგის კედელი, 16 კილომეტრამდე სიგრძისაა. ამავე დროს კედელი კავკასიონის წყალგამყოფი უმაღლესი და უდიდესი გამყინვარების რაიონია. მთამსვლელებს ამ დისტანციის გავლა მოუხდათ საშუალოდ 5.000 მეტრის სიმაღლეზე, ურთულესი ყინულოვანი უბნებით. ასეთ სიმაღლეზე მძიმე ზურგჩანთებით მოძრაობა იწვევს მთამსვლელის დიდ ფიზიკურ დატვირთვას. განსაკუთრებით ძნელ უბნად არის მიჩნეული შხარას ვიწრო ყინულოვანი თხემი, რომელზეც ზემოდან გადმოკიდებულია მთამსვლელისათვის მეტად საშიში თოვლ-ყინულის ლავგარდანი. შხარადან რუსთაველის მწვერვალამდე მთამსვლელს უხდება ყოველი მეტრი მანძილისათვის შეუპოვარი ბრძოლა. ვიწრო ყინულოვან თხემებზე წამოშვერილია კლდოვანი ქიმები, რომელთაც მთამსვლელებმა «გუშაგები» შეარქვეს. ამ ქიმებზე გადმოკიდებულია გაყინული თოვლის მასა, რომელიც ძნელი გასათვალისწინებელია, როდის მოსწყდება ადგილს. უაღრესი სიფრთხილე, წინდახედულობა, დაუშრეტელი ენერგია და რკინისებური ნებისყოფა მოეთხოვება მთამსვლელს ამ ადგილის მშვიდობით გადასალახავად.

ალექსი ნემსიწვერიძის ჯგუფი საუკეთესოდ მომზადებული აღმოჩნდა ასეთი დიდი ამოცანის შესასრულებლად. ამ ჯგუფმა ამავე შემადგენლობით შარშან მოახდინა უშბის ორივე მწვერვალის ტრავერსი, რაც სარეკორდოდ მოკლე დროში — ორნახევარ დღეში დამთავრდა.

ეს უკანასკნელი ტრავერსი, რომელიც ალპინიზმის ისტორიაში ქართველ მთამსვლელთა განსაკუთრებულ მიღწევად აღინიშნება, ალექსი ნემსიწვერიძის ჯგუფმა მაღალი ტემპით შეასრულა — 15 დღეში გაიარა. ეს იმ დროს, როდესაც მარტო ბეზინგის კედლის ნაწილობრივ გავლას ხოდაკევიჩის და ბელეცკის ძლიერმა ჯგუფებმა 9-12 დღე მოანდომეს.

წლევანდელმა ალპინისტურმა სეზონმა ცხადყო საქართველოს მთამსვლელთა სპორტული ოსტატობის ახალი დიდი ზრდა. ა. ნემსიწვერიძის, გ. გულბანის, რ. კვიციანის და ლ. ახვლედიანის სახით საბჭოთა ალპინისტების ოჯახს შეემატნენ საერთაშორისო კლასის მთამსვლელები.

ო. გიგინეიშვილი.

დღეს გაზეთ „ზარია ვოსტოკაში“

პირველი გვერდი — „პრავდის“ 3/IX მოწინავე — დიადი მეგობრობა.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს გენერალისიმუს ი. ბ. სტალინს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალური სახალხო მთავრობის თავმჯდომარის მაო ძე-დუნისაგან.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალური სახალხო მთავრობის თავმჯდომარეს ამხანაგ მაო ძე-დუნს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ი. სტალინისაგან.

მეტი საქვები საზოგადოებრივ მეცხოველეობას.

მეორე გვერდი — პარტიული ცხოვრება — დავიცვათ პარტიული და სახელმწიფო დისციპლინა (აჭარის საოლქო პარტიულ კონფერენციაზე).

კ. ბუჯიაშვილი — თბილისის ოლქის ბოლშევიკები პურისათვის ბრძოლაში.

საქართველოს მშრომელები ახალი შრომითი გამარჯვებებით ეგებებიან პარტიის XIX ყრილობას.

მესამე გვერდი — ვ. ჭიაურელი — დავძლიოთ საქართველოს კინემატოგრაფიის ჩამორჩენა.

გავზარდოთ პირუტყვის სულადობა, ავამაღლოთ მეცხოველეობის პროდუქტიულობა.

მეოთხე გვერდი — უცხოეთის ინფორმაციები.

რედაქტორი გ. მერკვილაძე

ალბანეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ერთთვიური

მიტინგი ტირანაში

★

ტირანა, 2 სექტემბერი. (საქდეს). გუშინ ტირანაში ალბანეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ერთთვიურის გახსნის გამო ხალხმრავლად საზეიმოდ მორთულ მოედანზე გაიმართა დედაქალაქის მშრომელთა მიტინგი. მოედანზე საქალაქო აღმასრულებელი კომიტეტის შენობის წინ შეიკრიბა 40 ათასზე მეტი კაცი. მიტინგის მონაწილეთა კოლონებს მოჰქონდათ ი. ბ. სტალინის, ენვერ ხოჯას მრავალი პორტრეტი, ტრანსპარანტები მოწოდებებით — განვამტკიცოთ მეგობრობა საბჭოთა კავშირთან, ვიბრძოლოთ მშვიდობისა და ხალხთა მეგობრობისათვის, მოჰქონდათ ტრანსპარანტები, რომლებიც ხოტბას ასხამენ ალბანელი ხალხის დიდ მეგობარს ი. ბ. სტალინს. პლაკატებზე წარწერილია: „სსრ კავშირთან მეგობრობა ალბანეთში სოციალიზმის საფუძვლების აშენების ქვაკუთხედია!“. „ჩვენ მშვიდობის მომხრე ვართ!“, „გაუმარჯოს დიდ სტალინს!“.

საბჭოთა კულტურის მოღვაწეთა დელეგაციას, რომელიც მიტინგზე მოვიდა, შეხვდნენ ხანგრძლივი მქუხარე ოვაციით და შეძახილებით დიდი სტალინისა და ენვერ ხოჯას პატივსაცემად.

სიტყვა წარმოთქვა ალბანეთის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრმა ფიტიერეტე შეხუმ, რომელმაც თქვა:

მეგობრობის ერთთვიური სიმბოლოა ალბანელი ხალხის მადლობისა, მისი უსაზღვრო სიყვარულისა და სამარადისო ერთგულებისა თავისი დიდი მხსნელებისადმი, დამცველებისა და მეგობრებისადმი — საბჭოთა კავშირისა და ჩვენთვის ყველაზე დიდი, ყველაზე მახლობელი ადამიანის — გენიალური სტალინისადმი. მეგობრობის ერთთვიური სიმბოლოა ჩვენი ხალხის ბრძოლისა ახალი ალბანეთის აშენებისათვის, ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის საფუძვლების აშენებისათვის. ამ ბრძოლაში ჩვენი ხალხი იყენებს იმ ხალხთა გამოცდილებას, რომლებმაც ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით პირველებმა ააშენეს სოციალიზმი თავიანთ დიდ ქვეყანაში და ახლა ლენინის დროშით, სტალინის ბრძნული ხელმძღვანელობით ახორციელებენ სოციალიზმიდან კომუნიზმში გადასვლას.

ფიტიერეტე შეხუმ თავის სიტყვაში აღნიშნა, რომ ალბანელ ხალხს საკავშირო კ. პ. (ბ) XIX ყრილობის დირექტივების პროექტი სსრ კავშირის მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესახებ მიაჩნია მშვიდობისა და დემოკრატიის დიდი ბანაკის ახალ გამარჯვებად, რადგან ყველასათვის ცხადია, რომ სსრ კავშირის ეკონომიური ძლიერების განმტკიცება მშვიდობის საქმის გამარჯვების საიმედო საწინდარია.

დასასრულ ფიტიერეტე შეხუმ დღეგრძელობა უსურვა ალბანელი ხალხის მხსნელებს, საბჭოთა კავშირს, მის კომუნისტურ პარტიას და დიდ სტალინს.

შემდეგ გამოვიდა საბჭოთა კულტურის მოღვაწეების დელეგაციის ხელმძღვანელი პროფესორი ნ. ი. ნუჟდინი, რომელმაც ალბანელ ხალხს საბჭოთა ხალხების სახელით გადასცა გულითადი სალამი და სურვილი შემდგომი წარმატებებისა ახალი დემოკრატიული ალბანეთის მშენებლობაში და მშვიდობის საქმისათვის გმირულ ბრძოლაში. ნ. ი. ნუჟდინის სიტყვებს, როცა მან დღეგრძელობა უსურვა ალბანეთის თავისუფლებისმოყვარე ხალხს, ალბანელი და საბჭოთა ხალხების დიდ ურღვევ მეგობრობას, ალბანეთის შრომის პარტიასა და ენვერ ხოჯას, მთელი მსოფლიოს მშრომელთა ბრძენ მასწავლებელსა და ბელადს ი. ბ. სტალინს, მიტინგის მონაწილენი შეხვდნენ მქუხარე ხანგრძლივი ოვაციით და ათეულ ათასობით ადამიანის მისასალმებელი შეძახილებით: გაუმარჯოს ალბანეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობას! სტალინი მშვიდობაა!

მიტინგის მონაწილეებმა დიდი ენთუზიაზმით გაუგზავნეს მისასალმებელი დეპეშა ი. ბ. სტალინს.

საქართველოს რადიოგადაცემათა 5 სექტემბრის პროგრამა

რადიოსადგურებით 1.571 და 59,52 მეტრ ტალღებზე და ქალაქის სატრანსლაციო ქსელით: 06.25 — ქართული ხალხური სიმღერები; 07.30 — სიმფონიური მუსიკის კონცერტი; 09.20 — კონცერტი საბჭოთა კომპოზიტორების ნაწარმოებებიდან; 10.30 — ლიტერატურული გადაცემა— ნაწყვეტი აკაკი ბელიაშვილის რომანიდან „ბესიკი“; 11.00 — სტეპანოვის სონატა ალტისა და ფორტეპიანოსათვის; 12.15 — უკრაინული და ბელორუსული ხალხური სიმღერები; 12.45 — სტალინური პრემიის ლაურეატის ზარა დოლუხანოვას კონცერტი; 17.15 — საბჭოთა კომპოზიტორების სიმღერები; 17.40—გადაცემა მოსწავლეთათვის; 18.15 — ვიქტორ დოლიძის ოპერა „ქეთო და კოტე“, მეორე მოქმედება; 19.20—კონცერტი ქეთევან ჯაფარიძის შესრულებით. 19.45 — საუბარი: „ბრძოლა სიხერის წინააღმდეგ“.

რადიოსადგურებით 1,500 და 59,52 მეტრ ტალღებზე და ქალაქის სატრანსლაციო ქსელით: 20.30 — რადიოსადგურებით გადაცემა სოფლის მეურნეობის მუშაკთათვის; ქალაქის ქსელით ქართული ხალხური სიმღერები; 20.45 — საქართველოს რადიოკომიტეტის გუნდის კონცერტი; 21.00 — საუბარი: „სოციალისტური საკუთრება საბჭოთა სახელმწიფოს ეკონომიური საფუძველია“; 21.45 — პოპულარული მუსიკის კონცერტი; 22.30 — ლიტერატურული გადაცემა —ნაწყვეტი ფურმანოვის რომანიდან „ჩაპაევი“; 22.40 — კონცერტი ხელოვნების ოსტატთა შესრულებით; 00.05 — საცეკვაო მუსიკის კონცერტი.

მიმდინარეობს „გლაველექტროქრომის“ საქართველოს სამედიცინო ნედლეულის დამზადების კანტორის ლიკვიდაცია. პრეტენზიები მიიღება 1952 წლის 25 სექტემბრამდე. ამ ვადის შემდეგ არავითარი პრეტენზია მიღებული და განხილული არ იქნება.

მისამართი: ბათუმი, ლერმონტოვის № 74.

სალიკვიდაციო კომიტეტი.

მშობლები სოფიო, ივანე, დები ნინო, ეთერ, ელეონორა, ძმა შოთა, სიძე ვლადიმერ, დისწული არჩილ იუწყებიან **ნათელა ივანეს ასულ მენთეშაშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 4, 5, 6-IX, 8 ს. გამოსვენება ბინიდან 7-IX, 4 ს. ნინოშვილის ქ. № 44.

ბიძა გიორგი, ბიცოლა მარიამ, ბიძაშვილი ჯ. მთვრალაშვილი იუწყებიან **ნათელა ივანეს ასულ მენთეშაშვილის** გარდაცვალებას.

დები მარიამ, ნატალია, ანტონინა, სიძეები დავით ძნელაძე, ალექსანდრე მთვარელიძე, ივანე ჯაფარიძე იუწყებიან **ალექსანდრე ტროფიმეს-ძე კოვტუნოვის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 4-IX, 8 ს. გამოსვენება ბინიდან 5-IX, 6 ს. მერკვილაძის ქ. № 18.

და ნატალია ჰოლოშელი, ძმა ნიკოლოზ, ძმისწული აპოლონ ოჯახით იუწყებიან **პლატონ არსენის-ძე გოგორიშვილის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 4-IX დიდ ჯიხაიშში.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14, ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, ხამდივნოსი — 3-06-88, განყოფილებებისა: პროპაგანდისა და პარტიული ცხოვრების — 3-81-84, სოფლის მეურნეობის — 3-57-61, საბჭოთა მშენებლობის, კულტურის, ყოფაცხოვრებისა და ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელის — 3-80-83, სამრეწველო-სატრანსპორტოსი და ინფორმაციის — 3-80-84, მშრომელთა წერილების — 3-73-24, მორიგისა და გამომშვებ ბის—3-81-65, გამომცემლობისა — 3-51-81, სტამბის დირექტორის — 3-77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 03679